საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 10 ივლისი. 2019 წ. №138 (8804) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ყველგან, სადაც კრემლმა ცხვირი შეყო...“

ყმებს უბრძანეს: ისხედით სახლში!

ახლა საქართველოში აგვიკრძალეს ფრენა. რატომ? უსაფრთხოება? კარგით რა, რა უსაფრთხოება? მათ სურთ, ქართველები ჩვენი — რუსეთის დუდუკის ხმაზე დაადუმონ და პლაკატების წერა შეაწყვეტინონ. თუ არადა, შევწყვეტთ ჩვენი ფულის საქართველოში ხარჯვას...

...სულ რაღაც 10 წელიწადში საქართველოში რუსული მეხუთე კოლონა ამოქმედდება?! ⑧

სალომე ზურაბიშვილი: მივმართავ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში, მე თქვენი პრეზიდენტი ვარ და თქვენი კეთილდღეობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია

— განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე. მან ასევე მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, არ აჰყვეს ესკალაციას.

„მივმართავ რუსეთის ხელმძღვანელობას, არ აჰყვეს ესკალაციას. პარადოქსი იქნება, თუ მეზობელი ქვეყანა, მისივე დახასიათებით, „რადიკალური“ ძალებისგან წამოწყებულ პროვოცირებას უპასუხებს და ამით მათ დესტრუქციულ მიზნებს შეუწყობს ხელს. აქვე, ხაზი უნდა გავუსვა იმასაც, რომ ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა არის ერთადერთი გზა ქვეყანაში და რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

მივმართავ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში — მე თქვენი პრეზიდენტი ვარ და თქვენი კეთილდღეობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვიცი, რომ ხელისუფლება ცდილობს, გააკეთოს ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლება მოცემულ ვითარებაში, რათა გააგრძელოთ მშვიდად და სტაბილურად ცხოვრება. დაბოლოს, მივმართავ ჩვენს სტუმრებს — საქართველო ისტორიულად ტოლერანტობის სიმბოლოა და არ დავუშვებთ, რომ ეს ტრადიცია დაირღვეს.

ქვეყნისთვის ყველაზე დაძაბულ პერიოდებშიც კი, არ მომხდარა არც ერთი ინციდენტი, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და სტუმრებს და ეს ასე გაგრძელდება“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.



პუტინი საქართველოსთვის სანქციების დაწესებას საჭიროდ არ მიიჩნევს!

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესებას საჭიროდ არ მიიჩნევს, „ქართველი ხალხის მიმართ პატივისცემის“ გამო. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული სააგენტო „რია ნოვოსტი“ ავრცელებს.

ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არ მიიჩნევს საჭიროდ ქართველი ჟურნალისტის გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნას, **„ეს დიდი პატივი იქნება მისთვის“,** — დასძინა პუტინმა.

„რაც შეეხება საქართველოს მიმართ სანქციებს, მე ამას არ გავაკეთებდი ქართველი ხალხის პატივისცემით. ვიღაც ერთი გამოვიდა, რაღაც დააბრეხვა, საკუთარი თავი რაღაცად წარმოადგინა, მის შესახებ ადრე არავინ არაფერი იცოდა, ახლა კი, ყველა ლაპარაკობს. ამ მხრივ, მან თავისას მიაღწია. შეუწყვიტეს უფლებამოსილება ორი თვით, ის გაემგზავრა დასასვენებლად, შემდეგ დაბრუნდება და გააგრძელებს მუშაობას. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოში ამას აპროტესტებენ“, — განაცხადა პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტის თქმით, საქართველოში ანტირუსული განწყობები ღვივდება იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც არ იციან ისტორია და საბოლოოდ საქართველოს ზარალს აყენებენ.

ღია წერილი ბატონ ანზორ მელიას

„გულიდან“ გულამდე, ③ ანუ უმადურობა კლინიკაში არ იკურნება

დევიაცია პროფილსა და ანფასში

პრაიდ-მარში, რომელიც ლომივით კი არ ბუხუნებს, ატეხილი ტურასავით კივის

გინდა, ასე თქვი, გინდა — ისე, რუსეთის დუმის დეპუტატ სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძლის „ანექსირებამ“ და ამას მოყოლილმა „ზოგადქართულმა“ ხმაურიანმა პროტესტმა, რასაც საბოლოოდ ჩასაფრებული ოპოზიციის ლამის პარლამენტში შეჭრა და ხელისუფლების გაღმა, მარილზე გასვლა მოჰყვა, დროებით თავიდან აგვარიდა არანაკლებ ღრიალა (და კივანა) დემონსტრაცია და იქ „ქართველ გმირთა მხარმკლავების“ გაშლა.

თბილისის კარზე ცისფერ-ვარდისფერი ლგბტ იყო მომდგარი და თვალებს ბილწად აჟუჟუნებდა. ოღონდ ეს ის ლგბტ აღარ იყო, რომელიც გვახსოვს: მფრთხალი, მორიდებით მახვეწარი. ლგბტ-მ უკვე მოიცილა ლელვის ფოთოლი ნაჯაფი უკანალიდან, რაც მთავარია, ფლანგები გაიმაგრა ჭიჭყინა, ტელეეკრანზე გამოჩენას დახარბებული არასამთავრობოებით, სულგაყიდული პოლიტიკანებით, „ახალი ფორმაციის“ — თვალში თითიჩხერია საყურიანი ჭაბუკებითა და მოხულიგნო ქალიშვილებით.

იხ. 4 გვ.

მამუკა ბახტაძე: პატარა საქართველო დიდი ჩემპიონების სამშობლოა

ევროპულმა თამაშებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველო არის ჩემპიონების სამშობლო; 30 მედალი და მედლების რაოდენობით მეხუთე ადგილი მართლაც უნიკალური წარმატებაა, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ევროპული თამაშების მედალოსნებს, რომლებსაც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მთავრობის მეთაურმა სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტულ ფედერაციებს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ოლიმპიურ კომიტეტს ქართველი გულშემატკივრის სახელით მადლობა გადაუხადა და მომავალ ასპარეზობებში წარმატებები უსურვა.

„ქართველი ადამიანის გენში არის ჯანსაღი ცხოვრება და სწრაფვა პირველობისკენ. მე, როგორც ყოფილმა სპორტსმენმა, კარგად ვიცი, რომ შედეგი მხოლოდ ძალიან მძიმე შრომით მიიღწევა. ის ფაქტი, რომ ჩვენ ორჯერ გავზარდეთ მედლების რაოდენობა წინა თამაშებთან შედარებით, უნიკალური წარმატებაა და თითოეული თქვენგანი ნამდვილი გმირია. 30 მედალი და მედლების რაოდენობით ევროპაში მეხუთე ადგილი არის უზარმაზარი წარმატება, თქვენი, მწვრთნელებისა და ფედერაციის დამსახურება და ქართველი ხალხის სახელით დიდ მადლობას გიხდით. სპორტი მხოლოდ საერთაშორისო ტურნირებზე მიღწეული წარმატება არ არის. ჩემთვის სპორტი არის საშუალება, რომ ჩვენ, როგორც ერმა, შევძლოთ ჩვენი ნიჭის წარმოჩინება და ვაჩვენოთ მომავალ თაობებს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესს ალტერნატივა არ აქვს. თითოეული თქვენგანი არის მაგალითი მომავალი თაობისთვის, საქართველო თქვენით ამაყობს“, – მიმართა პრემიერ-მინისტრმა სპორტსმენებს.

პრემიერმა გერმანიის ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტს უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტ კლაუდია როთს უმასპინძლა, რომელიც საქართველოს ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად ეწვია.

საუბარი შეეხო საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული ურთიერთობების განვითარებისა და მაღალი დონის შეხვედრების პოზიტიურ დინამიკას. ყურადღება გამახვილდა განათლების მასშტაბურ რეფორმაზე და ხაზი გაესვა გერმანიის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას რეფორმის სწორად განხორციელების პროცესში, კერძოდ პროფესიული განათლების მიმართულებით.

საუბარი შეეხო ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას, მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ და ევროკავშირის მხარდაჭერის როლს მის წარმატებით იმპლემენტაციაში.

გერმანიის ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტის შეფასებით, საქართველო, ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციის მიუხედავად, ეკონომიკას ავითარებს და რეგიონის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. კლაუდია როთმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საუბრისას ბერლინის კედელი გაიხსენა და აღნიშნა, რომ გამყოფი კედლები ადრე თუ გვიან დაინგრევა.

გერმანიის ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტი 11-12 ივლისს მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში – „საქართველოს ევროპული გზა“, რომელსაც ბათუმი უმასპინძლებს.

კახა კალაძე ილ დე ფრანსის რეგიონის პრეზიდენტს შეხვდა

თბილისის მერი კახა კალაძე საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში ილ დე ფრანსის რეგიონის პრეზიდენტს ვალერია პეკრესს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო თბილისში არსებულ გამოწვევებს და პარიზის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას.

– საკმაოდ საინტერესო შეხვედრა გვქონდა ილ დე ფრანსის რეგიონის პრეზიდენტთან. პირველი, რასაც საუბარი შეეხო, ესაა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, რაც მისასალმებელია, თუმცა ძალიან დიდი რესურსი გვაქვს, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გავაღრმაოთ. ასევე, ვისაუბრეთ თბილისში არსებულ გამოწვევებზე. გვინდა, რომ ის გამოცდილება, რომელიც პარიზს სხვადასხვა მიმართულებით გააჩნია, გავიზიაროთ თბილისში. მათ მხარდაჭერა აღგვითქვეს სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის კუთხით. გარდა ამისა, საუბარი გვქონდა ეკოლოგიურ გამოწვევებზე და მათი მხრიდან თანადგომა გვექნება კონკრეტული პროექტების მიმართულებით. მიგვაჩნია, რომ ეს ვიზიტი საკმაოდ წარმატებული იქნება იმ თვალსაზრისით, რომ შევძლებთ, მათი მხარდაჭერით და თანადაფინანსებით, ერთობლივად განვახორციელოთ ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებზეც დიდი ხანია, ვსაუბრობთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თავის მხრივ კი, ილ დე ფრანსის რეგიონის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ფრანგულ მხარეს შეუძლია, პარიზის გამოცდილება საქართველოს დედაქალაქის განვითარების სამსახურში ჩააყენოს.

ნათია თურნავა: ყაზახეთიდან ხორბლის იმპორტი გაიზარდა



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ყაზახეთის ხორბლის ექსპორტიორი მსხვილი სახელმწიფო კორპორაციის „პროდკორპორაციის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს რინატ აკბერდინსა და მმართველ დირექტორს ნურბეკ დაიბეკოვს შეხვდა.

სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოში ყაზახეთიდან ხორბლის იმპორტის განხორციელების საკითხი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყახაზეთში ვიზიტისას მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოში მსხვილი ყაზახური კორპორაციების სამუშაო ჯგუფის ვიზიტი მიმდინარეობს, რომლის დროსაც დაგეგმილია შეხვედრები როგორც სამთავრობო უწყებებთან, ასევე მოლაპარაკებების გამართვა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა განაცხადა, რომ ყაზახეთიდან ხორბლის იმპორტის ზრდა საქართველოს ბაზარზე მოგვცემს შესაძლებლობას, გავზარდოთ ხორბლის მარაგები. ნათია თურნავას თქმით, ყაზახეთიდან სამუშაო ჯგუფების ვიზიტი ხორციელდება ყაზახეთის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ერთობლივი დავალების ფარგლებში. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებები ყაზახეთთან წარმატებით დასრულდება და უკვე წელს ყაზახეთიდან ხორბალი კონკურენტულ ფასად შემოვიდეს.

გია ვოლსკი: მთავრობა უახლოეს პერიოდში დაიხსნის ქვეყანას ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგებული მახიდან

საქართველოს მთავრობა უახლოეს პერიოდში თავის სიტყვას იტყვის, რა შეიძლება, გაკეთდეს ამ ვითარებაში და რამ შეიძლება, დაიხსნას ქვეყანა მახიდან, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მთელი საქართველოს მასშტაბით ინტენსიური მუშაობის შემდეგ მოახერხა და დაago, – ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ განუცხადა, რომელიც რუსეთის მხრიდან ფრენების შეწყვეტას, ასევე დამატებითი სანქციების შესაძლო დაწესებას გამოეხმაურა. დეპუტატი ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებს, რა სახის გეგმის წარდგენას აპირებს მთავრობა.

„ეს რომ ვიცოდე, მთავრობას დავასწრებდი. ეკონომიკური ჯგუფი აქტიურად მუშაობს და მეწარმეებთან გამართული შეხვედრები რაღაც გარკვეული შედეგის მომტანი უნდა იყოს. რაც შეხება ამ კონტექსტში გაბუნიას, მისი გინება აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. ეს ქართველისთვის არათუ შეუფერებელი საქციელი იყო, არამედ მორალურად დამაზიანებელი გამოდგა, რადგან საქართველოში ხომ მხოლოდ რუსი ტურისტები არ ჩამოდიან. ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან და საქართველოთი ინვესტორები არიან დაინტერესებული. ეს არ იყო მხოლოდ პუტინისა და რუსი ტურისტის წინააღმდეგ მიმართული გინება, ეს იყო გინება, რომელსაც გავლენა ეკონომიკურ ვითარებაზე უნდა მოეხდინა“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისი თქმით, ტურისტები არასტაბილურ ქვეყანაში არ ჩამოვლენ, **„ინვესტორებისთვის ბოლო დღეებში საქართველო ისეთი მიმზიდველი აღარ არის, როგორც ადრე იყო“,** – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ია მეტრეველი: ნაციონალური მოძრაობა უნდა აიკრძალოს და დამნაშავე რეჟიმად გამოცხადდეს!

„ირმა ინაშვილმა რომ შეიტანა პარლამენტში მოთხოვნა, ის უნდა დაკმაყოფილებულიყო“, – ეს განცხადება ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ბუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა გააკეთა. მისი თქმით, სწორედ სააკაშვილის რეჟიმის გადმონაშთი სპეცრაზმელები არიან ისინი, ვინც დამიზნებით ესროდნენ.

„ყველგან არიან ეს ნარჩენი დამნაშავეები ისევ, განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში და ეს აისახა სწორედ. აი, ის სპეცრაზმელები... როგორც კი დავინახე, რომ დამიზნებით ესროდნენ და თვალები ამოეთხარათ ახალგაზრდებს, სწორედ სააკაშვილის რეჟიმის გადმონაშთი სპეცრაზმელები არიან ისინი. ჩვენ ვიხილეთ ვიდეოც, როგორ მოუწოდებს სააკაშვილი და როგორ ესაუბრება სპეცრაზმს. ამიტომ უნდა გაიწმინდოს. თქვენ კითხვა დასვით: როგორ უნდა დამთავრდეს ეს და იცით, როგორ? ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავე პარტია, უნდა აიკრძალოს და უნდა გამოცხადდეს რეჟიმად.

„გულიდან“ გულამდე,

ანუ უმადურობა კლინიკაში არ იკურნება

ღია წერილი ბატონ ანზორ მელიას

ბატონო ანზორ, თქვენთვის მომართვის სურვილი ორმა ფაქტორმა გამიჩინა.

პირველი: თქვენს ოჯახში გვარამიას სტუმრობამ;

მეორე: თქვენმა კომენტარმა **დიტო ჩუბინიძის** ფეისბუქპოსტზე.

დავიწყოთ მეორეთი.

დიტო ჩუბინიძემ დაუნდობლად გალანძღა **თამარ ჭოხონელიძე** სამიტინგო „კონცერტში“ მონაწილეობის გამო.

ჩემთვის მიუღებელია ასეთი ლანძღვა, მაგრამ ვერც იმას უარვყოფ, რომ დიტო ჩუბინიძე მართალია.

ამიტომაც ბევრმა დაუჭირა მხარი.

თქვენც ყველას ერთად უპასუხეთ: **„არ გრცხვენიათ, ქ-ნ თამრიკოზე ასეთ რამეებს რომ წერთ? ვინ გყავთ უკეთესი?“**

მართლა ფიქრობთ, რომ თამარ ჭოხონელიძეზე უკეთესი მომღერალი არ გვყავს?!

დავღუპულვართ და ეგ არის!

ნამდვილი დედოფალი რომ არ შევაწუხოთ, დანარჩენები ჩამოგითვალოთ?

თამარ ჭოხონელიძე ჩვენ მართალი და პრინციპული პოზიციის გამო გვეძვირფასებოდა, ცხადია, მომღერლობასთან ერთად.

სამწუხაროდ, ხალხის სიყვარულს თვითონ არ გაუფრთხილდა.

* * *

ახლა კი — მთავარზე.

გვარამია ისტუმრეთ, თავისი „აქცენტებით“ და მისი პარტიული არხით (ტელევიზიას რომ ველარც დავარქმევთ), ბიძინა ივანიშვილს მიმართეთ.

განსაკუთრებით ორმა „აქცენტმა“ მომჭრა ყური.

პირველი: **„რატომ დამაპირისპირეთ ჩემს შვილთან, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს და ვისითაც ვამაყობ?!“**

ერთი: დაპირისპირებისა ნამდვილად არაფერი გეტყობათ;

მეორე: შვილი, რასაკვირველია, სიგიჟემდე უნდა გიყვარდეთ, მაგრამ ვეჭვობ, ამ ეტაპზე, საამაყო რაიმე გქონდეთ.

და კიდევ უფრო მთავარი „აქცენტი“.

ბიძინა ივანიშვილს ასე მიმართეთ: **„რით ვერ გაძეხით?!“**

ახლა მე უნდა გკითხოთ:

არ გრცხვენიათ?!

ექიმს, ინტელიგენტს (წესით და რიგით), განათლებულ ადამიანს?!

შეიძლება, ასე მიმართოთ კაცს, რომელმაც მილიარდები მოახმარა თავის ქვეყანას?!

სამების დიდი ტაძარი;

მრავალი ეკლესია-მონასტერი;

ჯავახიშვილის უნივერსიტეტი;

რუსთაველის (და სხვა უამრავი) თეატრი;

გავაგრძელო?

თავადაც ხომ კარგად იცით?!

* * *

მთელი ინტელიგენცია იყიდეთო, — ესეც უთხარით.

თქვენ, ალბათ, ინტელიგენციაზე ძალიან ცუდი წარმოდგენა გაქვთ და საკუთარ თავს ამ ფენას არ მიაკუთვნებთ.

მე მივაკუთვნებ.

ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, მრავალი წიგნის ავტორი...

და ბიძინა ივანიშვილმა არა თუ არ „მიყიდა“, ნაცების მიერ დახურული გაზეთი „თბილისი“, რომლის რედაქტორადაც, დე იურედ, აქამდე ვითვლები, დედაქალაქს დღემდე არ დაუბრუნა.

მაგრამ, ამის გამო განაწყენებული, თვალებს ვერ დავიბრმავებ.

არტურ ლაისტი წერს, სიცოცხლის ბოლო დღეებში ილია ყველაზე ხშირად სიტყვა „უმადურობას“ ახსენებდაო.

უმადურობამ არაერთხელ დაგვღუპა.

ეს რომ შევიგნოთ, გული უნდა გვქონდეს.

გული და არა მხოლოდ კლინიკა „გული.“

უმადურობა კლინიკაში არ იკურნება...

იოსებ ჭუმბურიძე

დარჩება თუ არა თბილისის ცენტრში რკინიგზის სადგური?

„თბილისის ცენტრიდან რკინიგზის გადატანის საკითხი წლის ბოლომდე გადაწყდება“, — ამის შესახებ BM.GE-ს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გიორგი ზაზაშვილმა განუცხადა.

„საქართველოს რკინიგზამ“ თბილისის ცენტრალური სადგურიდან რკინიგზის გადატანის რამდენიმე ვარიანტიდან ერთი პროექტი შეარჩია. „საქართველოს რკინიგზის“ დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კომერციულად გამართლებული და დედაქალაქის ურბანული განვითარებისთვის ყველაზე მისაღები, ცენტრალური ვაგზლიდან როგორც სატვირთო გადაზიდვების, ისე სამგზავრო ნაწილის გადატანაა. გიორგი ზაზაშვილის განცხადებით, მოხდება თუ არა როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო გადაზიდვების ნაწილის გადატანა, მთავრობა გადაწყვეტილებას წლის ბოლომდე მიიღებს.

„კვლევები დასრულებულია და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიიღებს რკინიგზა მთავრობასთან ერთად გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, თბილისის მერიასთან შეთანხებით მოხდება ამ გადაწყვეტილების მიღება. თავის დროზე შემოვლითი რკინიგზა იყო უფრო ურბანული, ვიდრე სარკინიგზო პროექტი და მას სარკინიგზო პირობების გაუმჯობესებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. ეს იყო წმინდა ურბანული პროექტი.

ბუნებრივია ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც იქნება შემდგომში მიღებული ამ პროექტთან დაკავშირებით უნდა იყოს მერიასთან შეთანხმებული. ალბათ წლის ბოლომდე ყველა შემთხვევაში იქნება გადაწყვეტილება მიღებული“, — აცხადებს ზაზაშვილი.

შეგახსენებთ, ცენტრალური ვაგზლიდან როგორც სატვირთო გადაზიდვების, ისე სამგზავრო ნაწილის გადატანას თბილისის მერიაში არ ემხრობიან და მიაჩნიათ, რომ რკინიგზის სამგზავრო ინფრასტრუქტურა ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე უნდა დარჩეს.

აეროპორტებს შორის მგზავრთნაკადი წელს ყველაზე მეტად ქუთაისში გაიზარდა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 2019 წლის ექვს თვეში 1 870 082 მგზავრს მოემსახურა, რაც 11.64%-ით (195 024 მგზავრით) მეტია, ვიდრე 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა.

იანვარ-ივნისში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით 247 391 მგზავრი იქნა გადაყვანილი, რაც 30.01%-ით (57 112 მგზავრით) მეტია 2018 წლის პირველ ნახევარში აღრიცხულ მგზავრთა რაოდენობის მაჩვენებელზე. 2019 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 55.40%-ით გაიზარდა. სულ გადაყვანილი 364 834 მგზავრი — 130 060 მგზავრით მეტი ვიდრე 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში.

მოქალაქეებს 600 ათას ლარზე მეტი ჩამოეწერა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) გადაწყვეტილებებით, პირველ და მეორე კვარტალში მოქალაქეთა სასარგებლოდ ჩამოწერილი თანხების ოდენობამ 626 763 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის ექვს თვეში სემეკ-მა 54 საჯარო სხდომა გამართა და დღის წესრიგებით გათვალისწინებული 1312 საკითხი განიხილა. მათი უმეტესობა შეეხებოდა მოქალაქეებსა და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედ კომპანიებს შორის არსებულ დავებს. მოქალაქეთა საჩივრები კომპანიების წინააღმდეგ მოიცავდა კომპანიების მიერ უსაფუძვლოდ დარიცხულ თანხებს, ხანდაზმულ დავალიანებებს, მრიცხველის საფასურს, კომპანიების დადგენილებებს მოქალაქეთა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობის თაობაზე.

საჯარო სხდომებზე განსახილველად საკითხები წარადგინეს სემეკ-ის მომხმარებელთა საჩივრების დეპარტამენტისა და ენერგოომბუდსმენმა. სემეკი მიმართავს მოქალაქეებს, თუ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, მიმართონ უწყებას ან მასთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს. მოქალაქეებს კონსულტაციების მიღება შეუძლიათ როგორც სატელეფონო ცენტრში ნომერზე — 16 216, ასევე სემეკის Facebook გვერდზეც.

ბათუმში კავკასიის უნივერსიტეტის მშენებლობა იწყება

10 ივლისს, ბათუმში კავკასიის უნივერსიტეტის ახალი კამპუსისა და სკოლის მშენებლობის დაწყების პრეზენტაცია გაიმართება.

ახალი კამპუსის მშენებლობა, რომლის სივრცე გათვლილია უნივერსიტეტისა და სკოლისთვის, წელს აჭარის მთავრობის ხელშეწყობით დაიგეგმა. კამპუსი აღჭურვილი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით, სპორტული მოედნებით, საცურაო აუზით და სტუდენტური საერთო საცხოვრებლით. 1, 500 ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტზე, ასევე 500 მოსწავლეზე გათვლილი სივრცის მშენებლობა სამ წელიწადში დასრულდება.



პრაიდ-მარში, რომელიც ლომივით კი არ ბუხუნებს, ატეხილი ტურასავით კივის

(პირველი გვერდიდან)

ისინი მოდიან (და მოვლენ, როგორც კი ამის შესაძლებლობა შეექმნებათ) აღიარების – საყოველთაო იდენტიფიცირების განცხადებით, ამაყი შეძახილით **„ჩვენ ლგბტ ვართ!“**

ძველი თაობის თბილისელებმა ზეპირად ვიცოდით თითებზე ჩამოსათვლელი პედერასტების სახელები: **ტუზიკა, ქიშო, ვახო...** ვიცოდით მათი შეკრების ადგილიც – ორთაჭალაში, „სედმოი პერვი“ აბანოში... მაგრამ ქალაქში მშვიდობიანი თანაცხოვრება სუფევდა, ისინი თვალში არავის ეჩხირებოდნენ, რაც მთავარია, თავიანთი სექსუალური გაუკუღმართების აფიშირებას არ ახდენდნენ. საზოგადოებაც იტანდა მათ არსებობას, როგორც გარდაუვალ ბოროტებას. იმათ თავისი, ჩვენ კი ჩვენი ადგილი ვიცოდით.

დღეს ეს ერთ დროს ტაბუდადებული თემა საყოველთაო განსჯის საგნად იქცა, რადგან ლგბტ საზოგადოებას დაემუქრა პრაიდ-მარშით, შეტევით...

და აშკარად გამოიკვეთა, რომ ეს სულაც რა არის ოდენ აღვირახსნილი ახალგაზრდების ახირება.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ცოდვილი თემის წევრები არ არიან მხოლოდ ისინი, რომლებიც პრაიდის გამართვისთვის ჩალიჩობენ: მრავალსიტყვაობენ ტელევიზიებში, წიკვინებენ და შეგონებებს გვაყრიან თავზე. მათ გარდა არიან ფარული ლგბტ-ებიც. სწორედ ისინი ქმნიან ნოყიერ ნიადაგს ამ თემის „საზოგადოებრივი აღიარებისა“ და დამკვიდრებისთვის, მათ გამოძებნეს და გვერდში ამოიყენეს მომხრეები, რომლებიც უანგაროდ როდი მოქმედებენ.

* * *

ჯერ ცოტა ხნით, სამედიცინო სახელმძღვანელოებისკენ, თუნდაც გუგლისკენ გავიხედოთ.

სქესობრივი გაუკუღმართება (დევიაცია), სექსუალური პერვერზიები, სქესობრივი ლტოლვის ან დაკმაყოფილების ავადმყოფური დარღვევაა, როდესაც შეცვლილია სქესობრივი ლტოლვის ობიექტი, ან ვნების დაკმაყოფილების ფორმა. განასხვავებენ ჭეშმარიტ სქესობრივ გაუკუღმართებას, როდესაც გაუკუღმართებული მიზიდულობა სექსუალური დაკმაყოფილების ერთადერთი საშუალებაა და ცრუ სექსუალურ გაუკუღმართებას, როდესაც გაუკუღმართებულ ლტოლვასთან ერთად შენარჩუნებულია ნორმალური სქესობრივი ცხოვრების უნარი (ორალური, ანალური, ურეთრალური და სადისტური მოთხოვნილებები მყარად არის გამჯდარი ნორმალურ სქესობრივ ცხოვრებაში).

სექსუალურ გაუკუღმართებას, როცა შეცვლილია ლტოლვის ობიექტი, განეკუთვნება **ჰომოსექსუალიზმი** – სექსუალური ლტოლვა საკუთარი სქესის წარმომადგენლებისადმი (მამაკაცებში – **პედერასტია,** ანუ **მამათმავლობა,** ქალებში – **ლესბოსური სიყვარული)**, ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან; **პედოფილია** – ლტოლვა ბავშვებისადმი; **გერონტოფილია** – ლტოლვა მოხუცებისადმი; **ნეკროფილია** – ლტოლვა გვამისადმი; **ზოოფილია**, ანუ **სოდომია** – სქესობრივი კავშირი ცხოველებთან. ეს ის ხალხია, რომ იტყვიან, მაგათი შიშით აღმოსავლეთში სახედარს ვერ მოუკორტნია ბალახი მშვიდად და დასავლეთში – თხასო; **ფეტიშიზმი** – მამაკაცის ლტოლვა ქალის ტუალეტის ცალკეული ნივთისადმი; **პიგმალიონიზმი** – ლტოლვა ქანდაკებისადმი, ფეტიშის როლს ასრულებს სურათი, ფოტოგრაფია და სხვ.

სქესობრივ გაუკუღმართებას, როდესაც შეცვლილია ვნების დაკმაყოფილების ფორმა, განეკუთვნება **სადიზმი** – სექსუალური დაკმაყოფილება პარტნიორის ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფით; **მაზოხიზმი** – ვნების დაკმაყოფილება პარტნიორისგან მიყენებული ფიზიკური ტანჯვითა და მორალური შეურაცხყოფით; **ნარცისიზმი (აუტოფილია, აუტოეროტიზმი, აუტოერსტია)** – გატაცების ობიექტია საკუთარი სხეული; **ჰეტეროქრომოფილია** – სქესობრივი გატაცების საგანია სხვა კანის ფერის მქონე პარტნიორი; **სალირომანია** – სქესობრივი დაკმაყოფილება მიიღწევა სასურველი ადამიანის სიბინძურის – ფეკალიების, შარდის, სისხლის სხეულზე წაცხებით. სქესობრივი გაუკულმართების სახეა აგრეთვე **ექსჰიბიციონიზმი** – ვნების დაკმაყოფილება საკუთარი სასქესო ორგანოების საჯაროდ გაშიშვლებით; **სკოპოფილია,** ანუ **ვუაერიზმი** – სქესობრივი აქტის ფარული თვალთვალით, **ტრანსვესტიზმი** – სხვა სქესის წარმომადგენლის ტანსაცმლის ტარებით და ა.შ.

> **სქესობრივი გაუკუღმართება გვხვდება ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანოების დაზიანების, ენდოკრინული მოშლილობის, შიზოფრენიის, გონებრივი ჩამორჩენილობის, ფსიქოპათიის და სხვათა დროს, ზოგჯერ ვითარდება გარემო ფაქტორების განსაკუთრებული პირობების გავლენით.**

მკურნალობა დამოკიდებულია სქესობრივი გაუკუღმართების გამომწვევ მიზეზზე: იყენებენ ფსიქოთერაპიას, ჰორმონულ პრეპარატებს, ნეიროლეფსიურ საშუალებებს და სხვ.

არსებობს სამედიცინო-პედაგოგიურ ღონისძიებათა მთელი სისტემა – სქესობრივი აღზრდა, რომელიც ითვალისწინებს სქესის საკითხებისადმი სწორი მიდგომის აღზრდას მშობლებში, ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში.

სქესობრივი აღზრდა საუკუნეების განმავლობაში განისაზღვრებოდა რელიგიური ტრადიციებით. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო სქესობრივი აღზრდის საკითხებისადმი მეცნიერული მიდგომა, რადგან ახალგაზრდებში თავი იჩინა სქესობრივი ცხოვრების ზნეობრივი ნორმების უარყოფამ (ე.წ. თავისუფალი სიყვარული და სხვ.), გაიზარდა ვენერიული სნეულებით დაავადებულთა, არასრულწლოვანთა აბორტისა და მშობიარობის რაოდენობა.

* * *

ერთხელ დეპუტატმა კობა ამირხანაშვილმა ყურადსაღები წინადადება წამოაყენა – **სავალდებულო გავხადოთ პარლამენტარების არა მარტო ნარკოლოგიური და ფსიქიატრიული, არამედ პროქტოლოგიური გამოკვლევაცო.**

სწორი, მისაღები, გასაზიარებელი იდეაა! ელექტორატმა უნდა იცოდეს, არა მხოლოდ ის, თუ რა გონებრივი მონაცემები აქვს მომავალ პარლამენტარს და რა შემადგენლობის შარდი უჩქეფს სხეულში, არამედ ისიც, თუ რა ფერისაა ის კაცი საერთოდ, რადგან „ფერი“ პრინციპში, მის მსოფლმხედველობასაც განსაზღვრავს.

წინადადება – წინადადებად, ოღონდ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, თუ ის გავა, შინაგან საქმეთა ორგანოებს ჯანდაცვის სისტემასთან ერთად, დიდი ძალისხმევა მოუწევს, რათა კორუფციამ არ იძალოს და ყოველი საპროქტოლოგოდ წარმოდგენილი უკანალი აუცილებლად მის წარმომდგენ პირს ეკუთვნოდეს. ასე მივაღწევთ სასურველ შედეგს და პარლამენტში ვერ შეგვეპარება უღირსი უკანალი, ვითომ ხალხის რჩეული!

ეს ხუმრობით, ახლა კვლავ სერიოზულად.

ლგბტ პრაიდის თემა სულაც არ არის რამდენიმე ათეული ახალგაზრდის ახირება.

ბევრი ადამიანი, რომელიც თავს ჩვეულებრივი სექსუალური ორიენტაციისად გვაჩვენებს, არატრადიციული ორიენტაციისაა. ამდენად მათი რიცხვი, როგორც ჩანს, ბევრად მეტია, ვიდრე გვგონია, მაგრამ „გადახრები“ ყოფით ცხოვრებაში ხელს არ უშლით, ამიტომ მათი დევნა არავის დაუწყია. ახლა კი „თვითაღიარება“, „მოქალაქეობრივი დამკვიდრება“ გადაწყვიტეს. მათ გვერდით ყველაზე აქტიურად და ხმაურიანად დგანან არასამთავრობოები.

ვისაც ჰგონია, რომ ენჯეოები მხოლოდ იმისთვის იღებენ გრანტებს, რომ იარსებონ, ძალიან ცდება. საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება, რომ ეს უცხო სახელმწიფოთა პროპაგანდის ხელშემწყობი ორგანიზაციებია. ჩვენმა ქვეყანამ საკუთარი ინტერესების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. ჩვენთან არსებული ტრადიციული რელიგია – ქრისტიანობა (და ისლამიც) კრძალავს ლგბტ თემის რეკლამირებას. მკაფიოდ იკვეთება, რომ არასამთავრობოების საეჭვო აქტიურობამ, რომლებიც მკერდით ეფარებიან ლგბტ-ებს, საბოლოოდ აუცილებლად დაპირისპირება უნდა გამოიწვიოს. აქედან იოლი გამოსათვლელია, რომ ეს ყველაფერი უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების პროექტია, ლგბტ უბრალოდ საშუალებაა ქვეყნის ასარევად.

სოდომის დასჯა უფლის მიერ

ერთმანეთში ნუ ავურევთ მეძავობას და თავისუფალ სქესობრივ კავშირს. ნურც – სქესობრივ გაუკუღმართებას.

სიბრძნის დიდი წიგნი ბიბლია გვასწავლის: უფალმა არ განსაჯა ცოდვილი ქალი, რომელიც მრუშობის გამო შეიპყრეს და მის წინაშე დააყენეს: მოსემ რჯულში გვამცნო ამნაირების ჩაქოლვა, შენ რას იტყვიო? იესომ უთხრა მათ: ვინც უცოდველია თქვენს შორის, პირველად იმან ესროლოს ქვაო. ფარისეველნი, ამ სიტყვების გაგონებაზე სათითაოდ გაიკრიფნენ და იესომ ქალს უთხრა: არავინ განგსაჯა შენ, არც მე განგსჯი, წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავო.

მაგრამ სულ სხვაგვარად წარიმართა მთელი ქალაქების სოდომისა და გომორას მცხოვრებთა ბედი, რომელთაც ჰქონდათ უსაზიზღრესი ჩვევა – სქესობრივი კავშირი დაემყარებინათ ქალაქის სტუმარ მამაკაცებთან. თუმცა ღვთის რჩეულმა ლოთიმ ბევრი ეხვეწა მეზობლებს, აი, ჩემი ქალიშვილები იხმარეთ, რომლებმაც არა იციან მამაკაცი, ოღონდ ოჯახში თავშეფარებულ კაცებს ნუ გამიუპატიურებთო, მაგრამ მისი აჯა ყურად არ იღეს. **ღმერთმა სასტიკად დასაჯა ამ ქალაქების უკუღმართი მცხოვრებნი: ცეცხლით მოწვა და მოსრა სოდომიც და გომორაც ისე, რომ იქ მცხოვრებთაგან ლოთის ოჯახის გარდა ცოცხალი არავინ გადარჩენილა.**

„როგორც გამოგვერევიან ხოლმე გე-

ლგბტ „აღიარებას“ ითხოვს

ნიოსები და სულელები, ახოვანები და ჯუჯები, ასევე იბადებიან გარკვეული კატეგორიის ქალები, რომლებიც საროსკიპოების გზას უნდა დაადგნენ“ — XIX საუკუნის გერმანელი ჰიგიენისტის გ. რუბნერის ამ მიგნების ასეთი პერიფრაზირებაც უპრიანია: იბადებიან გარკვეული კატეგორიის ქალები (მე დავამატებდი: „და კაცები“), რომლებმაც აუცილებლად უნდა „გაიხადონ“. ამდენად მარტო ცხოვრებისეული იძულება, ანუ გარემო პირობები არ არის მთავარი, ისინი ასეთებად იბადებიან და ჯაჭვითაც რომ დააბა, მაინც გაიხდიან. ჰოდა, ღმერთმა შეარგოთ, გაიხადონ!

იმის გამო, რაც ამ დღეებში თბილისში, რუსთაველის გამირზე ხდება, ჭაბუკმა „გენიოსმა“, ოთხგზის საბას პრემიის ლაურეატმა, მწერალმა ლაშა ბუღაძემ ღრმააზროვნად განმარტა, ისეთი არაფერი ხდება, ახალგაზრდობა ირჩევს ქვეყანას, ანუ მოდელს, რომელშიც მას სურს ცხოვრებაო. „ვარსკვლავბიჭუნას“ „დაავიწყდა“ ეთქვა, რომ ეს სულაც არ არის „ისეთი არაფერი“ — ქვეყნის მოსახლეობა, ანუ საზოგადოება მხოლოდ ახალგაზრდებისგან არ შედგება, მასში უკვე არაახალგაზრდებიცა და ძველგაზრდებიც უხვად, უმეტესნი არიან, რომლებსაც სხვა მყარი, ტრადიციული „საცხოვრებელი მოდელი“ აქვთ და თუ „მოდელის“ ცვლაზეა ლაპარაკი, ეს საყოველთაო შეთანხმებით, უპირველეს ყოვლისა, მათი სურვილით უნდა მოხდეს.

წელან უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ჩალიჩზე ვლაპარაკობდით. ისინი არსად არ წასულან, კვლავაც მწყობრში დგანან და თავის საქმეს აკეთებენ, ოღონდ ძველ საშუალებებს ახალიც დაუმატეს — სოცქსელები და მასმედია (სხვათა შორის, მოსყიდულ მასმედიის მუშაკებს უკვე მყარად დაუმკვიდრდათ სახელი „პრესტიტუტკები“).

მასმედიის, განსაკუთრებით ტელევიზიის თავგამოდებამ ყველა დაფარულს ფარდა ახადა და ეს დიდი ხანია, დაიწყო.

მკითხველს გავაცნობ რამდენიმე განსაკუთრებით შთამბეჭდავ მონაცემს დასავლეთის ტელევიზიათა ავანტიურისტული ისტორიიდან, როცა დაირღვა ტელეტაბუთა ნუსხა.

1989 წელს პირველად უჩვენეს ჰომოსექსუალების კოცნა ინგლისურ ტელესერიალში „ბიჭები ისტ-ენდიდან“, 1993 წელს კი ლესბოსელთა კოცნა დანიური გაზეთის რეკლამირებისას. 1994 წელს ორმა ახალგაზრდა ქალმა ერთმანეთს „დაუზასა“ ინგლისურ სერიალში „ბრუქსაიდი“ და ამ ეპიზოდმა შეძრა საზოგადოება;

1996 წელს „Channel-4“-მა ინცესტი უჩვენა, ნისლიან ალბიონს დიდხანს ერეოდა გული;

1999 წელს საპატიო ინგლისელი მეცხოველეები დაიშოკნენ დოკუმენტური ფილმის „მალული სიყვარულის“ ერთ-ერთი სერიით. მასში ლაპარაკი იყო ზოოფილობაზე და უჩვენეს მამაკაცის პონისთან სექსის (ჯუჯა ცხენებთან) კადრები, ქალისა კი — ლაბრადორთან (ძაღლთან);

2001 წელს რუსეთის ტელევიზიამ გაბედა და მაყურებელს პირველად მიაწოდა სექსი პირდაპირ ეთერში;

2004 წელს აბორტების შესახებ სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში წარმოადგინეს კადრები აბორტირებული ნაყოფებით...

გარყვნილების და გაუკულმართების ჩვენებას ტელევიზიებისთვის ცუდი რეპუტაცია და დიდი რეიტინგი მოაქვს. და ამ დროს რა სახსენებელია საზოგადოებრიობის მრისხანება სარგებლიანი სარეკლამო კონტრაქტების ფონზე...

ისე რომ, ლგბტ-პრაიდი კარზეა მომდგარი. ოღონდ არავინ იფიქროს, ჩავილის და წავა. არ წავა, დარჩება თავისი საზიზღარი ფილოსოფიით, თავისი შემტევი აგრესიით, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით.

არ წავა, რა გინდ კომბლები თალონ ლევან ვასაძემ და მისმა ბიჭებმა, მარტო ერთი ლევან ვასაძის თავგამოდება არ კმარა!

ალეკო ასლანიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

საქართველო - რუმინეთი: მეცნიერული თანამშრომლობის მემორანდუმი

მიმდინარე წლის 30 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას სამი დღით ესტუმრა 2-კაციანი დელეგაცია რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ვიქტორ სპინეის ხელმძღვანელობით, მეორე სტუმარი გახლდათ იონელ კანდეა — რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

2 ივლისს კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა ორმხრივ მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონია გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარების მიზნით. ასევე ხელი მოეწერა განზრახულებათა წერილს, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხრიდან ხელს აწერს აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე,** ხოლო თსუ მხრიდან დოქტორი **გიორგი შარვაშიძე,** რუმინეთის მხრიდან აკად.

ვიქტორ სპინეი, ბუქარესტის უნივერსიტეტის მხრიდან — დოქტორი **მირჩეა დუმიტრუ.**

როგორც განზრახულობათა წერილშია აღნიშნული, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ორმხრივად სასარგებლო გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარების მიზნით, მხარეები დაინტერესებულნი არიან, ხელი შეუწყონ ქართულ-რუმინული ურთიერთობების განმტკიცებას და ერთობლივი ძალისხმევით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების 300 წლის იუბილე აღნიშნონ ქართველი და რუმინელი ისტორიკოსებისგან შემდგარი ერთობლივი სამეცნიერო კომისიის ჩამოყალიბებით.

რაც შეეხება ორმხრივ მემორანდუმს, მას ქართული მხრიდან ხელს აწერს აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე,** ხოლო რუმინეთის მხრიდან პრეზიდენტი **იოანაურელ პოპი.** მემორანდუმში ნათქვამია, რომ სამეცნიერო სფეროში საქართველოსა და რუმინეთს შორის თანამშრომლობის განვითარების, ორი ქვეყნის შესაბამის სამეცნიერო ინსტიტუციებს შორის უკეთესი ურთიერთგაგებისა და კონტაქტების ჩამოყალიბების მიზნით, თანხმდებიან ხელი მოაწერონ ამ მემორანდუმს, ხოლო წინამდებარე შეთანხმების მთავარი მიზანია, ის გახდეს მხარეთა შორის სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავების საფუძველი.

ნათია ვადაჭკორია,
მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი

სურათზე: მემორანდუმზე ხელმოწერის დროს.

ტურისტული ემბარგო ბიუჯეტის სეკვესტრირებას არ გამოიწვევს!

რუსეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოსთვის ტურიზმზე და ავიამიმოსვლაზე დაწესებული სანქციების გამო, ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ ქვეყნის ბიუჯეტი დაახლოებით 2 მილიარდ ლარს დაკარგავს. ამის ფონზე ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ხელისუფლებას ბიუჯეტის სეკვესტრირება თუ არა, მისი გადახედვა მაინც მოუწიოს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, იზიარებს თუ არა ეკონომიკის ექსპერტების აზრს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ნათია თურნავა იმედოვნებს, რომ 2019 წელს სახელმწიფო დაგეგმილ ეკონომიკურ ზრდას მიაღწევს.

„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ტურისტული ემბარგო არ გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი პროცენტის შემცირებას. თუმცა, რა თქმა უნდა, შეგვეძლო გაცილებით მეტი, რომ არა ეს გამოწვევა. ტურიზმის ადმინისტრაცია ეყრდნობა იმ მოლოდინს, თუ რუსი ტურისტების რა რაოდენობა ჩამოვიდოდა საქართველოში წლის ბოლომდე და რა შემოსავალი იქნებოდა მათგან მიღებული. ეს არის მილიონამდე ადამიანი, ვინც უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, რაც არის 700 მლნ დოლარის შემოსავალი. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ეს ნაკადი მთლიანად არ შეწყდება და შემოსავალი არ დაიკარგება. მაგრამ, რასაც ვისმენთ ტურიზმის ინდუსტრიისგან, ძალიან ბევრი ჯავშანია გაუქმებული, აქედან გამომდინარე, ზარალი მაინც სერიოზული იქნება,“ — განაცხადა ნათია თურნავამ.

იგივე კითხვაზე — მოსალოდნელია თუ არა ქვეყნის ბიუჯეტის გადახედვა, ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი გვპასუხობს: **„ტურისტული ემბარგო ბიუჯეტის სეკვესტრირებას არ გამოიწვევს“.**

გაჩო ადამია

„მტყუან-მართალი ისტორიამ უნდა წარმოაჩინოს“

საკურორტო ზონებში უკვე უჩვეულო სიხალვათეა. 20 ივნისიდან დაწყებული ტურისტული შოკი კვირას ახალი ძალით გაგრძელდა და საბოლოოდ ყველაფერი რუსეთის მხრიდან სანქციებში აისახა. საქართველოში უკვე ტურიზმის სფეროში მოსალოდნელ უზარმაზარ ზარალს ითვლიან.

სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელი რუსი ტურისტების მიერ ჯავშნების გაუქმების ტალღაზე წერს. **შალვა ალავერდაშვილი** მთავრობას და ოპოზიციას მიმართავს და ითხოვს ბიზნესს საქმის კეთება აცალონ.

„ყველას კარგად გვახსოვს, როგორ დაიწყო 2019 წელი. ჯერ იყო ვირუსების გამო საკმაოდ დიდი ზარალი ნახა ტურიზმის სექტორმა, მერე თითქოს ფეხზე წამოდგომა დავიწყეთ და მაისმა იანვარი დააბალანსა, ივნისი უკვე თებერვალს ავსებდა და მერე მოხდა გავრილოვი. ეს ის თემაა როცა მტყუან-მართალი ისტორიამ უნდა წარმოაჩინოს.

ჩვენ ყველამ ერთად დავიწყეთ 24-საათიანი მუშაობა, რომ ერთად არ მივსულიყავით იმ შედეგამდე, რაც ციფრებით მინუს 2 მილიარდ ლარს უდრის. ცოტა რაღაცები გამოვასწორეთ, ცოტა მეტი ადამიანი დავარწმუნეთ იმაში, რომ მაინც საქართველოში დაესვენათ. ყველამ ერთად დავიჯერეთ, რომ შეგვიძლია, არ დავნებდეთ და ჩვენი შრომა შედეგს გამოიღებს და მერე იყო გაბუნიას გუშინდელი განცხადება. დღეს დილიდან უკვე აღარც გვეკონტაქტებიან, უბრალოდ, გვიუქმებენ ჯავშნებს“, — აცხადებს ალავერდაშვილი.

ეკონომიკის მინისტრს ჯერ კიდევ ეიმედება, რომ საქართველოში რუსული ტურისტული ნაკადი არ შეწყდება და მისგან მისაღები შემოსავალი არ დაიკარგება. თავის მხრივ, მთავრობა საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის განმტკიცებისთვის მარკეტინგულ კამპანიას დაიწყებს.

„საკმაოდ აგრესიული მარკეტინგული სტრატეგია გვექნება იმისთვის, რათა ქვეყნის უსაფრთხო იმიჯი კვლავ განმტკიცდეს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ტრადიციული ბაზრები იყოს შენარჩუნებული.

მილიონამდე ადამიანი, ვინც უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, მათგან მისაღები შემოსავალი უკვე არის დათვლილი. ესაა 750 მილიონი დოლარი. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ნაკადი არ შეწყდება და შემოსავალი არ დაიკარგება, მაგრამ, რასაც ვისმენთ, ტურიზმის ინდუსტრიიდან არის ის, რომ ძალიან ბევრი ჯავშანი გაუქმდა. მნიშვნელოვანი ზარალი, რა თქმა უნდა, იქნება“, — ამბობს **ნათია თურნავა.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი უკმაყოფილოა იმ განცხადებებით, რასაც ბოლო პერიოდში სხვადასხვა ექსპერტი აკეთებს.

„ადამიანები, რომლებიც გამოდიან და საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლებელია ტურიზმის სექტორზე ძალიან მცირედი ზიანი იყოს, ამათ ჩვენ ფსევდოექსპერტებს ვუწოდებთ“, — განაცხადა ქვრივიშვილმა და იქვე დასძინა, რომ ეს არასერიოზული განცხადებაა.

რეალობა არის ის, რომ ფაქტიდან გამომდინარე, ქართული ტურისტული სექტორი საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დადგა.

„2019 წლის ბოლოს მოლოდინი გვქონდა, რომ საქართველოში რუსეთის 1 700 000-მდე მოქალაქე, როგორც ტურისტი ისე ჩამოვიდოდა. პირველი 6 თვის განმავლობაში საქართველოში უკვე 700 000-მდე რუსი ტურისტი შემოვიდა და დღეს ჩვენ მილიონი ტურისტი კითხვის ნიშნის ქვეშ გვყავს“, — განაცხადა ქვრივიშვილმა.

საქართველოს ეროვნული ბანკის გათვლებით, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებას წლის დარჩენილ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა დაახლოებით, 200-300 მლნ აშშ დოლარამდე იქნება.

გექა დანელია



5. ჩვილ ბავშვთა უეცარი სიკვდილი და აუტიზმი

ვაქცინების **შედეგად განვითარებულ ყველა გართულების განხილვას საგაზეთო წერილში, ცხადია, აზრი არა აქვს, ამიტომ, ძირითადად, ყველაზე ხშირ გართულებაზე – აუტიზმზე და უმძიმესზე – ჩვილ ბავშვთა უეცარ სიკვდილზე მოგახსენებთ. პირველზე – უფრო დაწვრილებით, მეორეზე კი – გაკვრით.** საქმე ის არის, რომ, ერთი მხრივ, აუტიზმის შესახებ ბევრად მეტი ინფორმაცია მოიპოვება და, მეორეც, – აუტიზმის შემთხვევები კატასტროფულად მატულობს მთელ მსოფლიოში. თუკი, 1990 წელს ამერიკაში ყოველ 100 000 ახალშობილზე უეცარი სიკვდილის 130 შემთხვევა მოდიოდა, აუტიზმის კი – 50, 25 წლის შემდეგ, 2016 წლისთვის სიკვდილიანობამ 1.4-ჯერ იკლო (100 000-ზე 91-მდე დავიდა), ხოლო **აუტიზმის შემთხვევებმა 44-ჯერ(!) იმატა** (100 000-ზე 2 220!), **ანუ ყოველი 45 ბავშვიდან ერთს აუტიზმი უვითარდებოდა!** შეერთებული შტატების ახალშობილთა ყოველწლიურ რაოდენობაზე გადაანგარიშებით კოლოსალურ რიცხვს – 80 000-ზე მეტ დაინვალიდებულ ბავშვს ვღებულობთ ერთ წელიწადში! **2009 წლისთვის აშშ-ში,** სხვადასხვა ხარისხის აუტიზმით **673 ათასი ბავშვი იყო აღრიცხული!**

მაინც რა არის **ჩვილ ბავშვთა უეცარი სიკვდილი და აუტიზმი?**

პირველი, – არის საწოლში მძინარე **ჩვილის უეცარი გარდაცვალება**. ცხადი იყო მხოლოდ ერთი ფაქტი – ბავშვი წინა დღეებში აცრილი იყო ყივანახველას, დიფტერიისა და ტეტანუსის საწინააღმდეგო სამმაგი, ე.წ. სამვალენტიანი ვაქცინით. გარდაცვალების უშუალო მიზეზი დღემდე დაუდგენელია! ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ამერიკაში, სადაც ვაქცინაციით მოცული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა, მაღალი შემოსავლების მქონე სახელმწიფოებში, ჩვილ ბავშვთა უეცარი სიკვდილის მაჩვენებელიც ორჯერ უფრო მაღალია!

ჩვილ ბავშვთა უეცარ სიკვდილს ძალიან ჩამოჰგავს უიშვიათესი გენეტიკური დაავადება, ე.წ. **უნდინას სინდრომი („უნდინას წყევლა“)**, რომლის დროსაც ასევე ძილში იღუპებიან ავადმყოფები. ეს სინდრომი პირველად 1962 წელს აღწერეს, ხოლო მიზეზი 2003-ში დაადგინეს – PHOX2B გენის მუტაცია, რომელიც სუნთქვის ცენტრის დათრგუნვას იწვევს ძილში და ჰიპოვენტილაცია ვითარდება (ამიტომ, ამ სინდრომს **ჰიპოვენტილაციის სინდრომსაც** უწოდებენ), დაავადება მძიმედ მიმდინარეობს და სიკვდილიანობა მაღალია. უნდინას სინდრომის დროს დიაგნოზი გენის მუტაციის გამოვლენით დგინდება ლაბორატორიულად (ამჟამად დაახლოებით 1 000-მდე ავადმყოფია მთელ მსოფლიოში), ჩვილების უეცარი სიკვდილის დროს კი ეს შეუძლებელია (არადა, მარტო ამერიკაში 4 000-მდე ბავშვი იღუპება ყოველწლიურად!).

რაღაა **აუტიზმი?** სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ **აუტიზმი** რა იყო, ექიმებმაც არ ვიცოდით! არც ერთ სამედიცინო სახელმძღვანელოში, დაავადებათა ნუსხაში იგი არ იყო შეტანილი. დღეს? დღეს თითქმის ყველას სმენია მის შესახებ – ზოგს ხომ თავად ჰყავს აუტიზმით შეპყრობილი ბავშვი. ყველა მშობელი აღნიშნავს, რომ აუტიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები (სიმპტომები) მან ადრეულ, სამ წლამდე ასაკში შეამჩნია ბავშვს. მაინც რა ემართებათ სიცოცხლით სავსე, აქტიურ და მხიარულ ბავშვებს? აუტიზმი არის ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება: ბავშვებს აღარა აქვთ საპასუხო ემოციური რეაქცია, მიმიკა და მხედველობითი კონტაქტი, ჩაკეტილი არიან საკუთარ თავში, შენელებული აქვთ მეტყველება, გამოხატულია ინტერესების შეზღუდვა და სოციალური ურთიერთობების დეფიციტი – არ ხერხდება ურთიერთობის დამყარება სხვა ბავშვებთან, სხვა ადამიანებთან, ახასიათებთ სტერეოტიპური ქცევა – იმეორებენ და იმეორებენ ტანის მოძრაობებს, ზოგჯერ თავს ურტყამენ ყველაფერს, დარღვეული აქვთ მგრძნობელობის ორგანოების კოორდინაციაც; სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ კი ძალიან ცოტა მათგანი თუ ახერხებს დამოუკიდებლად ცხოვრებას! მშობლები აუტიზმის განვითარებასაც სამვალენტიანი ვაქცინით, ამჯერად, წითელას, ყბაყურას და წითურას აცრას უკავშირებენ, რაც 1-1.5 წლის ასაკში უტარდებათ ბავშვებს, მაგრამ უშუალო მიზეზი ამ შემთხვევაშიც დაუდგენელია, უფრო სწორად, – დაუზუსტებელი! განა შეიძლება დაიჯერო, რომ 10 000 წლის წინანდელ მუმიებში ხერხდება სიკვდილის მიზეზის დადგენა, აუტიზმის და ჩვილთა უეცარი სიკვდილის მიზეზები კი ვერა და ვერ დაგვიდგენია 21-ე საუკუნეში (10-12 წლის წინათაც კი მედიკოსებს ასწავლიდნენ, თითქოსდა, აუტიზმი გენეტიკური დაავადება ყოფილიყოს!)!

წარმოსადგენადაც კი ძნელია ის სულიერი ტრავმა, რომელსაც იღებს ნებისმიერი მშობელი, როცა მისი მოსიყვარულე, პირმცინარი და მოჟღურტულე პირმშო მოულოდნელად ჩაიკეტება თავის თავში, თვალებში აღარ გიყურებს და, ფაქტობრივად, ინდიფერენტული ხდება ყველას და ყველაფრის მიმართ. სულ ახლახან ვნახე ვიდეო – სამი ტყუპისცალი აცრამდე და აცრიდან ერთი თვის შემდეგ. არ შეიძლება, გული არ შეგეკუმშოს ამის მნახველს!

6. დოქტორი ენდრიუ უეიკფილდი და აუტიზმი

მშობლებთან ერთად ექიმებმაც მიაქციეს ყურადღება MMR (КПК)-ით ვაქცინაციასა და აუტიზმის განვითარებას შორის კავშირს. ერთ-ერთი პირველი, ლონდონის სამეფო ჰოსპიტლის ქირურგი-გასტროენტეროლოგი ენდრიუ უეიკფილდი

მითი და რეალობა



აცრების შესახებ და ზოგი რამ გენმოდიფიცირებულ კულტურებზეც

„ჩვენ კვდომას ვიწყებთ იმ დღეს, როდესაც სიმართლეს ვიგებთ და ამის შესახებ ხმას არ ამოვიღებთ“!

მარტინ ლუთერ კინგი

იყო. მან თავის კოლეგებთან ერთად ჰოსპიტალში კუჭ-ნაწლავის მხრივ ჩივილებით მოხვედრილი 12 ბავშვი შეისწავლა, რომლებსაც, იმავდროულად აუტიზმისთვის დამახასიათებელი სიმპტომატიკაც აღენიშნებოდა. კვლევას ხელს აწერდა სხვადასხვა პროფილის 13 სპეციალისტი და, იგი სოლიდურ სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტში“ გამოქვეყნდა **1998 წელს.** ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ჰოსპიტალში გამართულ პრეს-კონფერენციაზე უეიკფილდმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა სამვალენტიანი ვაქცინების გამოყენების ნაცვლად ისევ ერთჯერად, ანუ ერთვალენტიან ვაქცინებს თუ მივუბრუნდებითო. სამვალენტიანი, ანუ ერთმანეთში შერეული სამი სხვადასხვა ვაქცინის გამოყენება მხოლოდ 1988 წელს დაიწყეს ბრიტანეთში (და პრობლემებმაც უფრო გვიან იჩინა თავი, ვიდრე ამერიკაში, სადაც ანალოგიური ვაქცინები 17 წლით ადრე, 1971 წელს დაინერგა). ეს წინადადება აბსოლუტურად გამართლებული და ლოგიკური იყო, ვინაიდან ადრე, როცა თითო ვაქცინით ცრიდნენ ბავშვებს (პრინციპით: **ერთ დღეში მხოლოდ ერთი ნემსი, მხოლოდ ერთი ვაქცინა!)**, მსგავსი გართულებები უცნობი იყო! სამ და მეტ ვალენტიანი ვაქცინებიდან **ერთჯერად ვაქცინებზე გადასვლაზე** უარს ამბობენ იმ მიზეზით, რომ, მართალია, ერთჯერადებს სინდიყის შემცველი კონსერვანტი აღარ დასჭირდებათ (მრავალჯერადი მოხმარების ფლაკონების განმეორებითი ხმარების დროს ბაქტერიული და სოკოვანი დაბინძურებისგან დასაცავად), მაგრამ ეს ვაქცინის ღირებულებას გააძვირებს და ერთხელ ასაცრელად მისვლის ნაცვლად სამჯერ მოუწევთ ექიმთან მისვლა და გაწვალდებიან, შეიძლება გამორჩეთ კიდეც აცრაო... ანუ გაძვირებას, **გართულებები და შემდეგ მათი მკურნალობა გვირჩევნია, ბევრად უფრო მომგებიანიაო!**

ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ **აცრილი და აუცრელი კონტინგენტის შედარებით შესწავლასთან ერთად აუცილებელია ვაქცინებში შემავალი ინგრედიენტების** (მეტალები, მიკროორგანიზმები, ქიმიკატები, ანტიბიოტიკები და სხვა შენაერთები) **ურთიერთქმედების – სინერგიული ეფექტის შესწავლაც.** ესეც ანა-ბანად ითვლება მედიცინაში, ფარმაციაში! ეს ძალიან კარგად მოეხსენებათ ვაქცინების მწარმოებლებს, მაგრამ ათწლეულები გადის, გართულებები, ვაქცინაციით გამოწვეული ქრონიკული დაავადებები მატულობს და, არათუ განგაშია ატეხილი და სასწრაფო წესით ხდება ვაქცინაციასთან დაკავშირებული პრობლემების ყოველმხრივი შესწავლა, არათუ სამეცნიერო კონფერენციები იმართება ვაქცინაციის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების მონაწილეობით და მათი არგუმენტების ურთიერთშეჯერებით, ათწლეულების მანძილზე დაგროვილი უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის გაანალიზებით, არამედ **მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმოუდგენელი კამპანიაა გაჩაღებული, თითქოსდა, ვაქცინაცია კაცობრიობის გადამრჩენი პანაცეა ყოფილიყოს და, სავალდებულო ვაქცინაციაც სწორედ ამ მიზნით იყოს შემოღებული!** ეს ნამდვილად ასე რომ არ არის, სავალდებულო ვაქცინაცია მსოფლიოს მოსახლეობაზე, ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვით რომ არ არის განპირობებული და იგი გარკვეული წრეების ინტერესებს ემსახურება, ამაზე წერილის მეორე ნაწილში თავად ამ წრეების ცნობილი წარმომადგენლების პირით, ანუ მათი განცხადებების და ვაქცინაციასთან პირადი დამოკიდებულების საფუძველზე მოგახსენებთ.

უეიკფილდი და თანაავტორები, რომლებმაც არა კატეგორიულად, არამედ მხოლოდ ვარაუდი(!) გამოთქვეს, რომ ბავშვებში გამოვლენილი პრობლემები, შესაძლოა (!), რამდენიმე დღის წინ MMR-ით აცრასთან იყოს დაკავშირებულიო, წარმოუდგენელი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდნენ ფარმაცევტული კომპანიების მიერ დაფინანსებული (აშკარად თუ ფარულად) ინსტიტუტების და მედიის მხრიდან, და 12 წლის შემდეგ 2010 წელს ბრიტანეთის მედიკოსთა საბჭომ იმის საფუძველზე, რომ, თითქოს, სხვა კვლევებმა აუტიზმსა და MMR ვაქცინას შორის კავშირი არ დაადასტურეს და, რომ უეიკფილდს, როგორც ქირურგ-გასტროენტეროლოგს მსგავსი კვლევების ჩატარების უფლება არ ჰქონდა და კიდევ, „ცუდი პროფესიული ქცევის“ – აუტიზმის თემაზე **საჯარო გამოსვლების გამო, მას ბრიტანეთის ტერიტორიაზე ექიმობა აუკრძალა!** უეიკფილდმა, რომელიც ამერიკაში გადავიდა და ტეხასში აუტიზმის ცენტრიც დააარსა, სამართალს ვერც ამერიკის სასამართლოში მიაღწია, არადა, იმ დროისთვის აუტიზმით შეპყრობილი ბავშვების 5 500-ზე(!) მეტ მშობელს საჩივარი ჰქონდა შეტანილი სასამართლოში და კომპენსაციას ითხოვდა.

ამერიკულ ტელეარხ **NBC**-ზე გამოსვლისას უეიკფილდმა დაიფიცა, რომ გააგრძელებდა კვლევებს ვაქცინასა და აუტიზმს შორის კავშირის დასამტკიცებლად: „მშობლები არსად არ წასულან, ბავშვები არსად არ წასულან და მეც, ცხადია, არ ვაპირებ არსად წასვლას“! – განაცხადა მან. ჰოლივუდის ცნობილმა ვარსკვლავმა, კომიკოსმა **ჯიმ კერიმ** და მსახიობმა **ჯენი მაკკარტიმ,** რომელთა შვილსაც აცრის შემდეგ აუტიზმი განუვითარდა, განაცხადეს: **„ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ დოქტორი უეიკფილდის და მთელი მსოფლიოს აუტიზმით შეპყრობილი ბავშვების მშობლების წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია ვაქცინების მწარმოებლებისგან არის ორგანიზებული. დოქტორ უეიკფილდს ჩირქი მოსცხეს კარგად ორკესტრირებული ცილისმწამებლური კამპანიით“.**

2011 წლის თებერვალში გამოქვეყნდა შრომა **„ვაქცინები: გაიგეთ ნამდვილი ისტორია. დაიცავით საკუთარი თავი და თქვენი ბავშვი“**, რომელსაც ხელს აწერდნენ **13 ქვეყნის** ექიმები, მათ შორის პედიატრები, ნეიროქირურგები და პათოლოგიის, ქიმიის, ბიოლოგიის, იმუნოლოგიის პროფესორები, სულ – **82 (!) სპეცი-**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №137

ალისტი. ყოველმა მათგანმა დამოუკიდებლად(!) შეისწავლა ვაქცინაციასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევები და ყველანი(!) იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ **მთელ რიგ დაავადებებსა (ალერგიები და ეგზემა, ასთმა, აუტიზმი, ახალშობილთა უეცარი სიკვდილი, დიაბეტი ერთ წლამდე ბავშვებში, კიბო და ბევრი სხვა) და ვაქცინაციას შორის კავშირი დადასტურებულად (!) შეიძლება ჩაითვალოს,** ხოლო ის მონაცემები, სადაც უარყოფილია აუტიზმსა და ვაქცინაციას შორის კავშირი, ერთობ საეჭვოა!

7. ვაქცინაციასთან დაკავშირებული საჩივრები

თუ ადრე, გართულებების მიზეზად **სამვალენტოვანი ვაქცინები** (MMR და **DTaP**) და მათში შემავალი შხამები – **ალუმინი** და **სინდიყი** მიიჩნეოდა, შემდგომში მათ **B ჰეპატიტი** (HepB) და **ჰემოფილური ინფექციის** (Hib) საწინააღმდეგო ვაქცინებიც დაემატა. ამ ახალი ვაქცინებით აცრა მხოლოდ 1991 (!) წელს დაიწყეს და უნდა აღინიშნოს, რომ ისინი პირველი ვაქცინებია, რომლებიც ახალშობილს უკეთდება – **B ჰეპატიტის ვაქცინა დაბადებისთანავე, 5-12 საათის(!) ახალშობილს უკეთდება** (მნიშვნელობა არა აქვს – გადატანილი აქვს რომელიმე მშობელს ჰეპატიტი, თუ – არა!), მეორე აცრა – ერთი(!) თვისას (სულ 3 აცრა 6 თვის ასაკამდე!); ერთი თვისას უწყებენ ჰემოფილური ინფექციის ვაქცინით აცრასაც (სულ 4 აცრა 1 წლის ასაკამდე!).

ვაქცინის მწარმოებელმა კომპანიებმა (4-5 მონოპოლისტი კომპანია 40 მილიარდი დოლარის შემოსავლით წელიწადში) იმისათვის, რათა ვაქცინებით გამოწვეული გართულებების გამო პასუხისმგებლობა აეცილებინათ და მოსალოდნელი კომპენსაციების გადახდისგანაც დაეძვრინათ თავი, მოილაპარაკეს და 80-იანი წლების დასაწყისში ამერიკის **კონგრესისგან ულტიმატური ფორმით მოითხოვეს სასამართლო დევნისგან დამცავი იმუნიტეტი:** „წინააღმდეგ შემთხვევაში, შევწყვეტთ ვაქცინების წარმოებას, რაც მძიმე დარტყმა იქნება ეროვნული უსაფრთხოებისთვის – ბაქტერიოლოგიური შემოტევის ან ეპიდემიის შემთხვევაში არ იქნება მომუშავე კომპანიები, რომლებიც სწრაფად შექმნიან ვაქცინებს საგანგებო მდგომარეობის პირობებში“.

შანტაჟმა გაჭრა, თუ ყველაფერი წინასწარ იყო შეთანხმებული, **1986 წელს კონგრესი** დათანხმდა მათ პირობებს და პრეზიდენტმა **რონალდ რეიგანმა** ხელი მოაწერა უპრეცედენტო **კანონს ვაქცინებით გამოწვეული ზიანის შესახებ,** რომლის ძალითაც **„არც ერთი ვაქცინის მწარმოებელი არ აგებს პასუხს აცრების შედეგად მიყენებული ზარალისა და სიკვდილის გამო“**. იმავდროულად დაარსდა **სპეციალური, ე.წ. ვაქცინების(!) სასამართლო** და ვაქცინებით ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის **საკომპენსაციო პროგრამა**.

ე.ი. იმდენი (ათასობით!) საჩივარი დაგროვდა ამერიკის მასშტაბით, რომ მხოლოდ ვაქცინებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სპეციალური **საკომპენსაციო ფონდი** დაწესდა (დაზარალებული ოჯახებისთვის უკვე 4 მილიარდ დოლარზე მეტი კოპენსაცია არის გადახდილი!); ვაქცინებთან დაკავშირებული საჩივრების განმხილველი **სპეციალური სასამართლო** შეიქმნა; თითქმის ყველა სახელმწიფოში **აუტიზმის ცენტრები** იხსნება (სულ ახლახან საქართველოშიც გაიხსნა), 2008 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით **2 აპრილი აუტიზმის საერთაშორისო დღედ** გამოცხადდა და, მაინც, მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ფაქტებისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არათუ „ეჭვმიტანილი“ ვაქცინების შესწავლას ხდის სავალდებულოს, არამედ, **ვაქცინაციას ხდის სავალდებულოს (!), 2011-2020 წლები კი ვაქცინაციის ათწლეულად გამოაცხადა!**

8. ვაქცინაცია და ადამიანის უფლებები

რაც კაცობრიობა არსებობს, ადამიანი თავისუფლებისთვის, სულ მეტი და მეტი უფლებების მოპოვებისთვის იბრძოდა და მეოცე საუკუნის ბოლოსთვის, შეიძლება ითქვას, მან სრულად მიაღწია კიდეც საწადელს, ყოველ შემთხვევაში, დემოკრატიულად მიჩნეულ სახელმწიფოებში მაინც. ადამიანის უფლებები კონსტიტუციურად დაკანონდა: **„სიტყვის“** (ზოგან, ლანძღვა-გინების და ცილისწამებისაც კი!), და ე.წ. **„გამოხატვის“** (ყველანაირი ქცევის!) თავისუფლება, რომლებსაც ბოლო პერიოდში დაემატა **„საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების“** (ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი) უფლებაც. რაღა დარჩა? არც არაფერი! ცხადია, უფლებებს მთელი რიგი აკრძალვებიც (მკვლელობის, ქურდობის და სხვა) ახლავს თან, სხვანაირად არც შეიძლება, მაგრამ აბსურდულ აკრძალვა-დაძალებებამდე არასოდეს არ მისულა არც ერთი ხელისუფლება, რადგანაც, მაგალითად, შეუძლებელია, ადამიანს კანონის(!) ძალით აუკრძალო ის საჭმელ-სასმელი, რაც მას უყვარს (შეჩვეულია) და დააძალო ის, რაც ეზიზღება ან უცხოა მისთვის (გველი, კატა, ძაღლი, ხოჭო, ჭიაყელა და ა.შ.) მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი მისი ჯანმრთელობისთვისაა აუცილებელი!

განა პარადოქსი არ არის, როცა ავადმყოფს(!) უფლება აქვს, უარი თქვას ექიმების მიერ დანიშნულ სხვადასხვა მედიკამენტზე ან მკურნალობის მეთოდზე (ჰორმონალურ, ქიმიო ან სხივურ თერაპიაზე და სხვა), ხოლო ჯანმრთელ (!) ადამიანს კი უფლება არ ჰქონდეს უარი განაცხადოს ნაძალადევ, ე.წ. პროფილაქტიკურ მკურნალობაზე, ანუ აცრებზე, მით უფრო, როცა ამ **აცრების ეფექტურობა სათანადოდ შესწავლილიც არ არის,** როცა აცრებთან დაკავშირებული გართულებები (აუტიზმი, ალერგია, შაქრიანი დიაბეტი, ეპილეფსია, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, სტერილობა, სიკვდილიანობა და კიდევ ბევრი სხვა!) სულ მატულობს და მატულობს. მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის სახელმწიფო სტრუქტურები მთელი სერიოზულობით ცდილობენ მოსახლეობის დარწმუნებას ისეთ აბსურდში, თითქოს, ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ამბობენ უარს თავიანთი ბავშვების აცრაზე, საფრთხეს უქმნიდნენ გარშემო მყოფებს, მთლიანად საზოგადოებას და, ამ მიზეზით, ხელისუფლებისგან სავალდებულო ვაქცინაციის დაკანონებას, ხოლო აცრების მოწინააღმდეგეების დასჯა-დაჯარიმებას მოითხოვენ! აცრებზე უარისმთქმელი ადამიანების დასჯის და დაჯარიმების კანონი პირველად თავისუფალ ამერიკაში – 10 წლის წინათ მასაჩუსეტსის შტატში (აშშ) მიიღეს, რომლის ძალითაც ღორის გრიპის ვაქცინაციაზე უარის მთქმელს ერთთვიან პატიმრობას უსჯიდნენ, ყოველ გადაცდენილ დღეზე კი 1 000 დოლარით აჯარიმებდნენ, სამსახურიდან დათხოვნა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა; იტალიაში სულ ახლახან შემოიღეს 500 ევროთი დაჯარიმება. ესეც დასავლური პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა! თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ **საფრანგეთში** მართალი ინფორმაციის (და, არა დეზინფორმაციის!) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად სავალდებულო აცრები 2007 წელს გაუქმდა.

აბსოლუტურად არავის, – არც ჯანდაცვის სამინისტროს, არც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და, რაღა თქმა უნდა, არც **სახელმწიფოს არა აქვს უფლება, კანონის ძალით(!) გონზე მყოფ ადამიანს მისი ნების გარეშე ძალით დაალევინოს, ასუნთქებინოს ან სისხლში შეუყვანოს არანაირი საკვები, სასმელი თუ სამკურნალო საშუალება!** აქედან გამომდინარე, მას არც იმის უფლება აქვს, რომ უარი უთხრას მშობლებს აუცრელი ბავშვების ბაღში და სკოლაში მიღებაზე (და, არც ეუბნებიან უარს ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში), მით უფრო, – უარისმთქმელების სამსახურიდან დათხოვნის, დაჯარიმების ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის.

ნებისმიერი ხასიათის სამედიცინო ჩარევაზე, ვაქცინაციის ჩათვლით, აუცილებელია ჩვენი წინასწარი, ნებაყოფლობითი ინფორმაციული თანხმობა! ვაქცინაციის დროს კი ადამიანის ბევრი უფლება ირღვევა. ერთ–ერთი მათგანია უფლება აუცილებელი ინფორმაციის მიღებაზე – ყოველი ვაქცინაციის წინ **ექიმი ვალდებულია (კანონით!), გააფრთხილოს მშობელი შესაძლო მძიმე გართულებების შესახებ** და, თუკი, ყოველი მშობელი ინფორმირებული იქნება იმის თაობაზე, რომ მისი შვილი, შესაძლოა, აცრისთანავე ანაფილაქსიურ შოკში ჩავარდეს და დაიღუპოს, ან რამდენიმე დღის შემდეგ აუტიზმი, ეპილეფსია, დამბლა განუვითარდეს ან სულაც ძილში გაიპაროს, ერთეული მშობელი თუ გარისკავს და მაინც აცრის შვილს!

იაკობ ლეჟავა
ტ. 593-55-04-00

ბათუმში სუვენირების ჯიხურები გაქურდეს

ბათუმის საბაგიროსთან მდებარე სუვენირების ჯიხურები გაქურდეს. მოვაჭრეების ინფორმაციით, შემთხვევა დღეს დილით, დაახლოებით 07:00-საათზე მოხდა. გატეხილია სუვენირების სამი ჯიხური და ღვინის ერთი მაღაზია. მათივე თქმით, წაღებულია სუვენირები და ღვინოები. მოვაჭრეები ამბობენ, რომ გაქურდვის ფაქტი სამი დღის წინაც დაფიქსირდა. მაშინ 2000 ლარის საქონელი წაიღესს.

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს ჯიხურის მეპატრონეებმა უთხრეს, რომ ქურდობაში ბრალდებული ერთი პირი სამართალდამცველებმა ადგილზევე დააკავეს, ორმა კი გაქცევა მოახერხა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავე, რომელიც არასრულწლოვანია, პოლიციამ შემთხვევის ადგილზევე შეაჩერა. მათივე თქმით, ნივთები ამოღებულია ნივთმტკიცებად. გამოძიება ქურდობის მუხლით მიმდინარეობს.

მაშველებმა გორში 16 წლის გოგონა გადაარჩინეს

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, მეხანძრე-მაშველებმა გორში 16 წლის გოგონა გადაარჩინეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ გორში, მშვიდობის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე ხანძარი გაჩნდა.

შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა ჯგუფები, პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები. ადგილზე მისვლისთანავე, ძლიერი კვამლის გამო, მეხანძრე-მაშველებს ფანჯრის გისოსების მოხსნა და სახლში ამ გზით შესვლა მოუწიათ. სახლში მეხანძრე-მაშველებს 16 წლის გოგონა დახვდათ, რომელიც შენობიდან უვნებლად გამოიყვანეს. ის ადგილზე შეამოწმა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ და პროფილაქტიკის მიზნით საავადმყოფოში გადაიყვანა. მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ორი აბიტურიენტი სხვის ნაცვლად ცდილობდა გამოცდის ჩაბარებას!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით ორი აბიტურიენტი სხვის ნაცვლად ცდილობდა გამოცდის ჩაბარებას.

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გაცნობებთ, რომ 2019 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც აბიტურიენტის ნაცვლად სხვა პირი ცდილობდა გამოცდის ჩაბარებას. ორივე აბიტურიენტი მოხსნილია გამოცდიდან და ამ ფაქტებთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ამკაცრებს მონიტორინგს და კიდევ ერთხელ აფრთხილებს აბიტურიენტებს, რომ ასეთი ქმედებით ისინი არღვევენ კანონს და საფრთხეს უქმნიან საკუთარ მომავალს“, – აცხადების გამოცდების ეროვნული ცენტრი.

არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები საბაჟოზე

საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, არადეკლარირებული საქონლის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, თურქეთის მოქალაქე კ.ს-ს მართვის ქვეშ არსებული ავტობუსის და აზერბაიჯანის მოქალაქის ე.ტ-ს კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად, 18 984.63 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს (87.92 გრამი) ნაკეთობები გამოავლინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ანონსი:
მორიგ ნომერში: აუცრელი ბავშვი და მისგან მომდინარე საფრთხე

ყმეებს უბრძანეს: ისხედით სახლში!

რუსეთის თავისუფალი მედია საქართველოს მხარდაჭერასა და თბილისის მიმართ კრემლის სანქციების გმობას განაგრძობს. ინტერნეტ-სივრცეში გუშინაც არაერთი სტატია, ვიდეორეპორტაჟი, ბლოგი თუ „პოსტი“ გამოქვეყნდა.

ამჯერად რუს ბლოგერ **ნატალია მირონოვას** პოსტის ქართულ თარგმანს გთავაზობთ:

როცა უნივერსიტეტს ვამთავრებდი, რუსეთში ქართული და მოლდოვური ღვინო აკრძალეს. ტიუმენში მაღაზიების თაროებიდან თითქმის მთელი ალკოჰოლური პროდუქცია გაქრა, რადგან სხვა ღვინოები ერთბაშად ისე გააძვირეს, მყიდველი აღარავინ იყო და მაღაზიების მეპატრონეები იძულებულები გახდნენ, მათ შეტანაზე უარი ეთქვათ. მახსოვს, ქალაქის მეორე ბოლოში დავდიოდით თანაკურსელები მეტ-ნაკლებად მისაღებ ფასად ჩილეს წარმოების ნახევრადტკბილი ღვინის შესაძენად. მაშინვე გაქრა „ბორჯომიც“.

რა აკრძალვები აღარ გვინახავს რუსეთში: გვიკრძალავდნენ ფრენას ეგვიპტესა და თურქეთში; აკრძალეს ფილმები „Брат“, „интервью“ და „Смерть Сталина“; გვიკრძალავდნენ თურქულ პომიდორს, პოლონურ ვაშლს, ესპანურ „ხამონს“, ფინურ კარაქს... თითქმის 35 წლის ვარ, მათგან დაახლოებით 15 წელიწადია სახელმწიფო ჩემს მიმართ ისეთ დამოკიდებულებას იჩენს, როგორიც უგუნური ბავშვის მიმართ შეიძლება, გქონდეს, რომელიც დამოუკიდებლად ვერ წყვეტს, რა იქნება მისთვის კარგი, რა — ცუდი. ჩვენი სახელმწიფო თვლის, რომ თვითონ ვერ გავერკვევი, სად შეიძლება, მელოდოს საფრთხე, სად — არა, სად ვიპოვი გემრიელ სასარგებლო კერძებს და გაერთობი, სად წავიდე, რას ვუყურო, რა წავიკითხო და ა.შ.

იცით, რატომ იქცევა ასე? იმიტომ, რომ თავის საკუთრებად მთვლის. ჩვენთან - თანამედროვე რუსეთში სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობა იდეალურად ჯდება ფორმულაში „ბატონი-ყმა“...

ახლა საქართველოში აგვიკრძალეს ფრენა. რატომ? უსაფრთხოება? კარგით რა, რა უსაფრთხოება? მათ სურთ, ქართველები ჩვენი — რუსეთის დუდუკის ხმაზე დაადუმონ და პლაკატების წერა შეაწყვეტინონ. თუ არადა, შეეწყვეტთ ჩვენი ფულის საქართველოში ხარჯვას... მაგრამ ერთი წუთი: სიცოცხლე ხომ ჩვენია, ფულიც ჩვენია, ხოლო როგორ გამოვიყენოთ — ამას სახელმწიფო გადაგვიწყვეტს?!

რამდენიმე ჩემი ნაცნობი და უამრავი ფეისბუქ-„ფრენდი“ უახლოეს ხანებში აპირებდა საქართველოში გამგზავრებას. ახლა სიჩქარეში ეძებენ, სად ჩააბარონ ბილეთები... თავადაც რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი: ორჯერ მომიწია საქართველოსკენ ბილეთების ჩაბარება, — მარტში და ივნისის დასაწყისში. ორი წელია, ჩასვლა მინდა, მაგრამ მუდმივად ჩნდებოდა სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორები. ბოლოს, ივნისის დასაწყისში, როცა ბილეთები დავაბრუნე, მტკიცედ გადავწყვიტე, სექტემბრის დასაწყისში აუცილებლად წავსულიყავი საქართველოსა და სომხეთში. უკვე შვილსაც გავუმხილე და დავპირდი. ისე გაუხარდა, ეზოში მოთამაშე მეგობრებსაც შეატყობინა ფანჯრიდან, “აი, ივლისი გაივლის, აგვისტოც და მალე საქართველოში მივდივარო“...

ახლა რა ვუთხრა? წარმოიდგინეთ, რა საცობები იქნება ფრენების აკრძალვის შემდეგ ლარსზე... გავრისკო და ბავშვთან ერთად ეტლითა და ბარგით სექტემბერში მაინც დავიძრათ? ეჭვი მეპარება...

და ეს ყველაფერი — რატომ? — იმიტომ, რომ ჩემმა სახელმწიფომ ჩემი და ჩემი შვილის, მილიონი ჩემნაირი მოქალაქის გეგმებისა და ფულის ხარჯზე სხვა სახელმწიფოს დასჯა გადაწყვიტა?!

უსინდისოდ გვეუბნებიან: თუ ძალიან გინდათ, მინსკის გავლით წადითო... და რატომ უნდა ვიხდიდე ზედმეტს, თან დისკომფორტში? ყველას ხომ მშვენივრად გვესმის, რომ რუსების უმრავლესობას ამის ფული არა აქვს და არც მინსკშია ავიაგადაზიდვების იმგვარი სიმძლავრე, რომ სეზონზე საქართველოში მილიონზე მეტი რუსი ჩაიყვანონ... ან იმას რომ გვიმტკიცებთ, საქართველოში საფრთხე გელითო, მინსკის გავლით თუ ჩავალთ, საფრთხე მოგვეხსნება?! ალტერნატიულ მარშრუტებს მაინც ნუღარ გვთავაზობთ, თორემ ნამეტანი აშკარა ხდება, რომ მუშტად გვიყენებთ საქართველოს დასასჯელად!.

და ვინც უკვე საქართველოშია? — ისინიც არათანაბარუფლებიან კატეგორიებად დაყვეს: იმ „ყმებს“, რომლებიც ქვეყანაში ორგანიზებული ტურებით ჩავიდნენ, ჩვენი ბატონი — „როსტურიზმი“ იძულებით აქუჩებს ლეკვებივით და აბუნძულებს საქართველოდან, ხოლო მათ, ვინც თვითორგანიზებით ჩავიდა და არა ტურით, შეუძლიათ, მშვიდად დაასრულონ შვებულება და როცა თავად მოუნდებათ, მაშინ წამოვიდნენ...

პოსტსაბჭოთა სივრცის რიგითი მოქალაქისთვის ცხოვრება ძალიან გართულდა. სანამ ევროპაში საზღვრებს შლიან, პოსტსაბჭოეთში გამალებულები ხატავენ ახალ-ახალს. და ამისგან მათი „მხატვრები“ კი არ ზარალდებიან, რომელთათვისაც არაფერი იცვლება — კვლავაც დადიან თავისი დიპლომატიური პასპორტებით, არამედ ჩვენ — უდანაშაულო ადამიანები... ეს ხომ აღმაშფოთებელია! და ორმაგად აღმაშფოთებელი იმის გამო, რომ ამ ყველაფრის მიზეზი შემთხვევების უმრავლესობაში ერთია: რუსეთმა ისევ სადღაც შეყო ცხვირი, ისევ გაიფუჭა ვიღაცასთან ურთიერთობა.... არ შეიძლება, ერთი წელი მაინც ამოგვასუნთქონ ჩვენი სახელმწიფოს ამ „ბრძნული“ საგარეო პოლიტიკის ბონუსებისა და ჩვენი საფულეების პატერნალისტური გამოყენების გარეშე? გვაცალონ, ჩვენით გადავწყვიტოთ, ჩვენივე ფულით რომელ ზღვაში ვიცურაოთ...

მე სოფელში ვცხოვრობ, ნამდვილ სოფელში. ჩვენს გვერდით დაბაა. იქაც აღშფოთებულები არიან ფრენების აკრძალვით. და ეს არა ვიღაც პროდასავლელი ლიბერალებია, არამედ რიგითი მშრომელი რუსი გლეხები! ეგვიპტე მათთვის მეტისმეტად ძვირია, ყირიმში არავის უნდა, სოჭში უკვე იყვნენ...

ხალხი საქართველოსკენ ახალგაზრდობის მოგონებებით ისწრაფვის, ბათუმის პალმების ჩრდილის, თბილისის ძველი ვიწრო ქუჩების, „ლაღიძის წლებსა“ და სამწვადეებში „ქინძმარაულის“ ჭიქით ხელში გატარებული დაუვიწყარი საათების გამო... აგროვებდნენ ფულს, იყიდეს საცურაო კოსტიუმები, გასაბერი ლეიბები, კახეთის გზამკვლევი... და აი, სახელმწიფომ უბრძანათ, „ყმებო, სახლში ისხედით, არსადაც არ წახვალთო“...

ეს ხომ წარმოუდგენელია! ცხოვრების დონე რუსეთში ელვისებური სისწრაფით ეცემა. მოქალაქეთა უდიდესი ნაწილისთვის ეს ბოლო ზაფხულია, როცა ისინი შვებულების ზღვაზე გატარების ხარჯების გაწევას შეძლებენ, წინ კი გადარჩენისთვის ბრძოლისა და სიღატაკის წლები გველის. მომდევნო მძიმე წლებში ამ ზაფხულს თბილისის ქუჩებში ხეტიალის, ბათუმში ზღვაზე გატარებული დაუვიწყარი დღეების შესახებ მოგონებებით მაინც იცხოვრებდნენ... მაგრამ ახლა ეს მოგონებებიც წაართვეს! წინ მხოლოდ სტაგნაციაა, უიმედობა და მწარე სიმართლე — რომ სახელმწიფოსთვის ისინი მხოლოდ და მხოლოდ მკვებავი სუბსტრატია და სხვა არაფერი. მოინდონებს სახელმწიფო? — გაუშვებს საქართველოში, მოინდომებს? — გამოაბუნძულებს.

წარმოგიდგენიათ, როგორ დაგვღალა ყველანი ჩვენმა სახელმწიფომ, რომ თავზე „ქიმიის“ მქონე წინსაფრიანი დიასახლისებიც კი „ოდნოებში“ ასე ხუმრობენ?

...სულ რაღაც 10 წელიწადში საქართველოში რუსული მეხუთე კოლონა ამოქმედდება?!

რუსეთისგან მომავალი ეკონომიკური ექსპანსიის საფრთხე ჩვენს ხელისუფლებას არ აშინებს. ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა აცხადებს, რომ, საბედნიეროდ, რუსეთზე ელექტროენერგიით არ ვართ დამოკიდებულნი, არც ბუნებრივი აირით ვართ მიბმულნი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელზე. რაც შეეხება ხორბალს, ნათია თურნავა გამოსავალს გვთავაზობს და არ გამორიცხავს, რუსული ხორბალი ყაზახურმა ჩაანაცვლოს.

არსებობს თუ არა რუსეთისგან ეკონომიკური ექსპანსიის საფრთხე?!

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ რუსეთი ჩვენი უზარმაზარი მეზობელია და, თუ საქართველოს შევადარებთ რესურსებით, მათ შორის, ეკონომიკური რესურსებითაც, ჩვენს შორის უდიდესი დისბალანსია. რუკას რომ შევხედოთ, მარტო ამითაც მივხვდებით, რა ქვეყანაა რუსეთი. ამიტომ, არავითარ შემთხვევაში, არ გვაწყობს მასთან კონფრონტაცია. თუმცა არსებობს წითელი ხაზები და ეს ხაზები უკავშირდება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელზეც უკან დახევა არ შეიძლება.

„დელიკატური ვითარებაა. აშკარაა, რამხელა დარტყმა მიიღო ქართულმა ეკონომიკამ, რაც რუსი ტურისტებით დაიწყო, შემდეგ რუსებმა უკვე ღვინოზე გააგრძელეს საუბარი, რაც ქართული ეკონომიკისთვის უდიდესი ზარალი და დარტყმა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ არის მოწინავე ეკონომიკის ქვეყანა, ის მასშტაბით უზარმაზარია და ქართული ძალიან პატარა ეკონომიკა დიდწილად სწორედ რუსეთზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ნათია თურნავამ ადრეც თქვა, ჩვენ ყაზახურ ხორბალს ვყიდულობთ, რაც უფრო იაფი და ხარისხიანიაო. ეს ტყუილია, ყაზახური ხორბალი უფრო ძვირია და უფრო უხარისხოცაა, რუსული ხორბალი კი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და ფასითაც უფრო მისაღებია. უკრაინას აქვს უზარმაზარი რესურსი ამ თვალსაზრისით, მაგრამ რუსულ ხორბალთან ვერ მივა. რა თქმა უნდა, სხვა გზა თუ არ გვექნება, ან ყაზახურ ხორბალს ვიყიდით, ან კანადურს, მაგრამ რუსული ხორბალი ხელსაყრელი იყო“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

ანალიტიკოსის პროგნოზით, სხვა წარმომავლობის ხორბლის ყიდვა ცხოვრებას გაგვიძვირებს. თუმცა კარგია, რომ გაზით და ელექტროენერგიით არ ვართ დამოკიდებულნი რუსეთზე, დივერსიფიცირებულნი ვართ ამ მხრივ და ძირითადად აზერბაიჯანია ჩვენი მთავარი პარტნიორი.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ჩვენთან საუბრისას ადასტურებს, რომ რუსეთის ფაქტორის გამო ეკონომიკური სიძნელეები მოსალოდნელია. თუმცა რუსეთისგან ეკონომიკურ ექსპანსიას პოლიტიკური ექსპანსიაც ემატება, რადგან რუსები საქართველოში მკვიდრდებიან, ბიზნესს ავითარებენ, ქონებას ყიდულობენ და სულ რაღაც 10-15 წელიწადში რუსული მეხუთე კოლონის ამოქმედება ემუქრება საქართველოს.

პოლიტოლოგს აინტერესებს, ნუთუ არ გვყოფნის, რომ ბათუმში უკვე გვყავს თურქული მეხუთე კოლონა. თბილისშიც, ალბათ, სულ მალე გვეყოლება ისლამური რელიგიური მეხუთე კოლონა, მაგრამ ეს ნაკლებად საშიშია, რადგან ისლამური რელიგიური მეხუთე კოლონა არ მოითხოვს საქართველოში პოლიტიკურ უფლებას, არც იმას მოითხოვს, თბილისი მიუერთონ ირანს. მაგრამ რუსული მეხუთე კოლონა ძალზე საშიშია, ეს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ექსპანსიაა.

„მეორე მხარეც დამაფიქრებელია. ჩემთან კახელი ნათესავი იყო ჩამოსული, მეღვინე, ფერმერი და მითხრა, ბოლო ხუთი წელია, თითქმის უხარისხო ღვინო მიდის რუსეთშიო. უწამლი ყურძენი, რომელიც 30 თეთრი ღირდა, ახლა ღირს ლარი, რადგან მისგან დაწურული ღვინოც მიდის რუსეთში, როგორც საფერავი. აქამდე პუტინი ამაზე თვალს ხუჭავდა, რადგან ჩვენი ღვინო იაფი იყო ევროპულთან შედარებით, მაგრამ ახლა პუტინს დასჭირდა და „როსპოტრებნადზორმაც“ საჯაროდ განაცხადა, უკვე ყველაფერი შემოდის საქართველოდან ღვინის სახითო. იქაური მეღვინეების იმპორტიორთა ასოციაციის წარმომადგენელმა, ეროვნებით სომეხმა პირდაპირ ახსენა სიტყვა „პამოიკა“. კაცმა რომ თქვას, ჩვენთანაც ასე არ ხდება? ვთქვათ, გაიხსნება რესტორანი საქართველოში, რამდენიმე თვე მისაღები ფასებია, კარგი პროდუქცია, გემრიელი საჭმელია, მიიზიდავენ კლიენტებს და მერე იქ შესვლა უკვე აღარ შეიძლება, აფუჭებენ ხარისხს. ამიტომ არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს“.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ საინტერესო ექსპერიმენტი

ადამიანთა ტვინებს შორის გაბმული ქსელი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა სინამდვილედ იქცა

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოიგონეს მეთოდი, ე.წ. ბრეინნეტი (BrainNet – ტვინის ქსელი), რომლის საშუალებითაც სამი ადამიანი ერთმანეთს ინფორმაციას აწვდის. მათ ეს ტვინის და შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებით შეძლეს, ხმის, ჟესტიკულაციის თუ სხვა ტიპის ტრადიციული საკომუნიკაციო მეთოდის დახმარების გარეშე.

„ადამიანები სოციალური არსებები არიან, რომლებიც ერთმანეთთან კომუნიკაციას ამყარებენ, რათა ითანამშრომლონ და გადაჭრან ესა თუ ის პრობლემა, რასაც დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ“, – ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი რაჯეშ რაო, კომპიუტერულ მეცნიერებათა და ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი, ნეიროტექნოლოგიის ცენტრის თანადირექტორი ვაშინგტონის უნივერსიტეტში.

„გვინდოდა გვცოდნოდა, შეეძლო თუ არა ადამიანთა ჯგუფს თანამშრომლობა მხოლოდ გონების გამოყენებით. ასე მივედით ბრეინნეტის შექმნის იდეამდე, რომელშიც ორი ადამიანი მესამეს დასახული ამოცანის შესრულებაში ეხმარება“, – ყვება პროფესორი რაო.

ამ ე.წ. ბრეინნეტში სამი ადამიანი თამაშობს „ტეტრისის“ მსგავს კომპიუტერულ თამაშს, ტვინებს შორის ერთგვარი ინტერფეისის, ანუ მათი დამაკავშირებელი რგოლის გამოყენებით. ექსპერიმენტის ავტორებმა და მონაწილეებმა პირველად მოახერხეს ორი კონცეფციის დამტკიცება:

> **1. ორზე მეტი ადამიანისგან შემდგარ ჯგუფში შესაძლებელია მათ ტვინებს შორის კავშირის დამყარება**
>
> **2. ადამიანს შეუძლია ორივე ოპერაციის შესრულება – ინფორმაციის ჯერ მიღება და შემდეგ სხვებისთვის გაგზავნა მხოლოდ საკუთრი ტვინის გამოყენებით.**

როგორც უკვე ვთქვით, ექსპერიმენტში 3 ადამიანი მონაწილეობდა, 3 მოთამაშე. თავიდანვე ისე იყო ჩაფიქრებული, რომ აქედან ორს ჰქონდა მხოლოდ დამხმარე ფუნქცია, მათ ინფორმაცია უნდა გაეგზავნათ.

მესამეს ევალებოდა ამოცანის შესრულება, ანუ ის იყო ინფორმაციის მიმღები. მონაწილეები ერთმანეთის მოშორებით, სხვადასხვა ოთახებში ისხდნენ, რომ ვერც ერთმანეთი ვერ დაენახათ და ვერც ხმა მიეწვდინათ.

დამხმარე დუეტი ეკრანზე ხედავდა კუბების (პირობითი აგურების) განლაგებას და იმ ხაზს, რომელიც აგურებით ისე უნდა შევსებულიყო, რომ ის ეკრანიდან წაშლილიყო. მაგრამ ამ დუეტს არ ჰქონდა აგურების კონტროლის საშუალება, ანუ თამაშში სვლის გაკეთების ფუნქცია.

მესამე ადამიანი – ინფორმაციის მიმღები, ხედავდა მხოლოდ აგურებს და ვერ ხედავდა მთავარს, შესავსებ ხაზს. ასე

რომ, მან არ იცოდა, თუ როგორ უნდა გადაეტრიალებინა, შეებრუნებინა, ან გადაეადგილებინა ბლოკები მარჯვნივ თუ მარცხნივ, რომ კედლის ხაზი სწორად შეევსო და ის ეკრანიდან წაშლილიყო.

ექსპერიმენტის განმავლობაში, ინფორმაციის გამგზავნი დუეტი წყვეტდა, თუ როგორ უნდა აემოძრავებინა აგურები. შემდეგ ისინი ინფორმაციას მხოლოდ ტვინის გამოყენებით და ინტერნეტის დახმარებით გადასცემდნენ მიმღებს, ანუ კარნახობდნენ მას სწორ სვლას.

ადრესატი, რომელსაც აქ პირობითად მესამე ადამიანს ვუწოდებთ, ჯერ იღებდა ამ ინფორმაციას, შემდეგ აძლევდა აგურს სასურველ მიმართულებას და ფორმას, ბოლოს კი სვამდა კედელში ისე, რომ ამოცანა შეესრულებინა და ხაზი წაშლილიყო. ისიც ამისთვის მხოლოდ საკუთარ ტვინს და ინტერნეტს იყენებდა.

საინტერესო ნიუანსია ის, რომ ინფორმაციის გამგზავნ, მოკარნახე დუეტს ჰქონდა იმის საშუალებაც, რომ გადაეხედა მიმღების მიერ გაკეთებული სვლისთვის. თუკი მესამე მოთამაშე შემთხვევით არასწორ სვლას აკეთებდა, ინფორმაციის გამგზავნი მას აუცილებელ შესწორებაზე შეატყობინებდა ხოლმე.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ მოწყობილ ექსპერიმენტში 5 ასეთი ტრიო მონაწილეობდა, ანუ 15 ადამიანი. თითოეულ ჯგუფს სთხოვეს ამ თამაშში 16 რაუნდი ეთამაშა.

შედეგი: თითოეულმა ჯგუფმა 81%-იანი წარმატებით მოახერხა აგურებისთვის სწორი ფორმის და მიმართულების მიცემა, კედლის შევსება და ხაზის წაშლა. საშუალოდ, 16 რაუნდიდან – 13-ში ისინი მოგებულები იყვნენ.

კიდევ უფრო საინტერესოა ექსპერიმენტის დამატებითი, ფარული მიზანი: მეცნიერებს სურდათ გაეგოთ, თუ რამდენად შეისწავლიდა დროთა განმავლობაში ინფორმაციის მიმღები მესამე ადამიანი დამხმარე დუეტს და გამოარჩევდა იქ „ცუდ“ და „კარგ“ მოკარნახეს. ანუ, სწორად თუ მიხვდებოდა, ვინ იყო დუეტიდან სანდო და ვინ არა.

ამისთვის მკვლევარებმა დუეტში ერთი მოთამაშე წინასწარვე არასწორი სვლებისთვის „გაწირეს“. შედეგი ამ მიმართულებითაც დადებითი აღმოჩნდა: ინფორმაციის მიმღები მოთამაშე სწრაფად უღებდა ალღოს იმას, თუ ვისთვის უნდა დაეჯერებინა და ბოლო რაუნდებისკენ ძირითადად მხოლოდ კარგ და სანდო წყაროს უსმენდა.

კვლევის ავტორების აზრით, მათი ნაშრომი ჯერ მხოლოდ უღრან ტყეში გადადგმული პირველი ნაბიჯებია. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მომავალში, ამგვარი კავშირებით შექმნილი ქსელები და მათი საშუალებით შემდგარი ურთიერთთანამშრომლობა, კაცობრიობას გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემების გადაჭრის საშუალებას მისცემს.

თუმცა, ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევარებს ძალიან აშფოთებთ მსგავსი მეთოდების ფართოდ გამოყენების ეთიკური მხარე. ისინი ამბობენ, რომ ამაზე საუბარი, რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოს, რომ ადამიანთა პირადი ინფორმაციის დაცვა თავიდანვე უზრუნველყოფილი იყოს.

ნაშრომი სახელწოდებით „ტვინის ქსელი: ინტერფეისი რამდენიმე ადამიანის ტვინს შორის, პირდაპირი თანამშრომლობისთვის“ გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში „ნეიჩერ“ (Nature). მისი ავტორები არიან ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერები: ლინინგ იანგი, ანდრეა სკოტო, დარბი ლოსეი, ჯასტინ აბერნეტი, ჩანტელ პრატი და რაჯეშ რაო.

მაია ქვარცხავა

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

(მესამე გამოცხადება)

შპს „ენგურჰესი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი, დას. საბერიო) ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალების რეალიზების მიზნით, აცხადებს აუქციონს ავტომანქანაზე, შემდეგი მონაცემებით:

მარკა (მოდელი) – HYUNDAI HI VAN {7+1} მიკროავტობუსი
გამოშვების წელი – 2011 წ.
სახელმწიფო ნომერი – NXN 610
ფერი – რუხი 3/8
სალონი – ტყავი
საიდენტიფიკაციო ნომერი – N KMHWH81JACU412379
გადაცემათა კოლოფი –- მექანიკური
ძრავი – დიზელი 2500 სმ.კუბ.
სპიდომეტრის ჩვენება (გარბენი) – 595000 კმ.
საწყისი სარეალიზაციო ფასი – 15000 (თხუთმეტიათასი) ლარი
წინასწარი შენატანი საგარანტიო თანხა „ბე“ – 1500 (ერთიათასხუთასი) ლარი
სავაჭრო ბიჯი – 150 (ასორმოცდაათი) ლარი
აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი (ელექტრონულის გარდა) – 20 ლარი

დეფექტები: ოთხივე საბურავი გაცვეთილია 70-80 % -მდე, აკუმულატორი გამოსაცვლელია, საქარე მინა გაბზარულია, წინა ხიდი შესაკეთებელია, საჭიროა გადაცემათა კოლოფის რევიზია, წესრიგშია მოსაყვანი სამუხრუჭე სისტემა, გამოსაცვლელია ლილვი (კარდანი) და ძრავის ზეთი, საბარგულის კარი ხმაურობს, გამოსაცვლელია რეზინები და კიდევ მოითხოვს სხვადასხვა მცირედ დაზიანებული დეტალებისა და კვანძების შეკეთებას.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

საგარანტიო თანხის, „ბე“-ს და აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი“, ს/კ 251716371, VTB ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშგების ანგარიში GE97VT6600000003403403.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2019 წლის „09“ ივლისის 10 სთ-დან 2019 წლის 16 ივლისის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2019 წლის 16 ივლისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული განაცხადის ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

– „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს ,,ენგურჰესის” ოფისი, ტელ. 595 227050

შპს ენგურჰესის აუქციონის მომწყობი კომისია

დაზუსტება: „საქართველოს რესპუბლიკის“ 2019 წლის 9 ივლისის ნომერში შეცდომით გამოქვეყნდა შპს ენგურჰესის ძველი (2018 წ.) განცხადება აუქციონის შესახებ, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით!

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს მოქმედი გვირგვინოსანი „საბურთალო“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დებიუტისთვის მზადების დასკვნით პროცესშია. თბილისური გუნდი მოლდოვის საუკეთესო კლუბ „შერიფს“ ტირასპოლში დაუპირისპირდება.

ამ მატჩის წინ თბილისელთა თავკაცმა გიორგი ჭიაბრიშვილმა ისაუბრა, რომლის განცხადებითაც, მეტოქე ევროპულ ასპარეზზე სტაბილურად თამაშობს და „საბურთალოსთვის“ ეს ისტორიული დაპირისპირება იქნება.

„ევროტურნირებზე „შერიფთან“ პირველი ოფიციალური შეხვედრა გველის, რომელსაც თავისებური დატვირთვა აქვს, თუმცა, ვფიქრობ, რომ მზად ვართ გამოწვევისთვის. ველოდებით საეტაპო მატჩს. ძალიან გვსურს გავიდეთ შემდეგ ეტაპზე და გავახაროთ გულშემატკივარი, წარმატებისთვის კი მაქსიმუმს გავიღებთ.

ორი ფეხბურთელის გარდა, ყველა მათგანი მწყობრშია და ემზადება ოფიციალური შეხვედრისთვის. „შერიფთან“ ტრავმების გამო ინტერს გისა და ელვინ ტერას მოვისაკლისებთ.

რაც შეეხება მომავალ მეტოქეს — შარშან, როდესაც ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვდნენ, ვნახეთ, თუ რა ძალას წარმოადგენენ. მოლდოველები სტაბილურად თამაშობენ ევროპაში და საკმაოდ კარგ კლუბთან მოგვიწევს ორი თამაშის გამართვა, თუმცა, ვეცდებით საბოლოოდ გამარჯვებულები დავრჩეთ“, — ციტირებს „საბურთალოს“ ვებ-გვერდი ჭიაბრიშვილის სიტყვებს.

შეგახსენებთ, რომ საბურთალოსა“ და „შერიფის“ ორრაუნდიანი დაპირისპირების პირველი მატჩი დღეს გაიმართება.

* * *

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ბექა მიქელთაძე კარიერას ყაზანის „რუბინში“ გააგრძელებს. როგორც რუსული გუნდის ვებ-გვერდი იტყობინება, ჩვენებურთან 1-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

მიქელთაძე 2018 წლიდან ფამაგუსტას „ანორთოსისში“ თამაშობდა. გასულ სეზონში 21 წლის ქართველმა შემტევმა 23 მატჩში 2 ბურთი გაიტანა და 2 საგოლე პასი შეასრულა.

მანამდე მიქელთაძეს „დინამოს“, „ზესტაფონისა“ და „რუსთავის“ რიგებში უთამაშია. აქვე გეტყვით, რომ მიქელთაძემდე „რუბინმა“ მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში ორი ქართველი — ზურიკო დავითაშვილი და ხვიჩა კვარაცხელია გაიფორმა.

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც - სამივე ახალგაზრდა და სამივე შემტევია...

* * *

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი, ახლადდასრულებული კოპა ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი დანი ალვეში ლიონელ მესის ბრაზილიელთა მიმართ ნათქვამს გამოეხმაურა.

„მეგობრები ყოველთვის მართლები არ არიან მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობრობენ. შეიძლება აღელვებულმა რაღაც თქვა, მაგრამ მესის არ დავეთანხმები. ჯერ ერთი, მან ბრაზილიელთა მიმართ უპატივცემულობა გამოამჟღავნა. მეორეც, მან ჩირქი მოსცხო პროფესიონალებს, რომლებიც ტურნირზე ჩამოვიდნენ, ბევრი პრობლემა გვერდით გადადეს და ოცნებისთვის იბრძოდნენ.

მე ისეთი მეგობარი ვარ, რომელიც ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობს. ამიტომ, ვფიქრობ, მესი არ იყო მართალი, როცა ასეთ სიტყვებს ამბობდა.“ - ციტირებს ალვეშის სიტყვებს Bem Amigos.

შეგახსენებთ, რომ კოპა ამერიკის ნახევარფინალში, ბრაზილიასთან წაგების

შემდეგ (0:2) არგენტინის ნაკრების კაპიტანმა ლეო მესიმ ჟურნალისტებს უთხრა: აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ბრაზილიელებს გაამარჯვებინონო.

* * *

„ლივერპულისა“ და ეგვიპტის ნაკრების თავდამსხმელმა მოჰამედ სალაჰმა აფრიკის ერთა თასის მერვედფინალში სამხრეთ აფრიკასთან შინ წაგების შემდეგ (0:1) თავის „ტვიტერში“ ეგვიპტელ გულშემატკივრებს მიმართა.

„ძალიან საწყენია, ასე ადრე რომ დავემშვიდობეთ ტურნირს. ვიმედოვნებდით, რომ შორს გავიდოდით, ჩემპიონებიც გავხდებოდით და ჩვენს ერთგულ ქომაგებს გავახარებდით, მაგრამ დავმარცხდით.

დიდ მადლობას ვუხდი გულშემატკივრებს თანადგომისთვის. ამ მარცხიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და მომავალში უკეთ ვითამაშოთ.“ — წერს სალაჰი.

შეგახსენებთ, რომ „ბაფანა ბაფანასთან“ მარცხის შემდეგ ეგვიპტის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხავიერ აგირე თანამდებობიდან გაათავისუფლეს და გადადგა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ჰანი აბო რიდაც.

* * *

„პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელი ნეიმარი ფრანგული გუნდის შეკრებაზე არ გამოცხადდა. აღნიშნულ ინფორმაციას პარიზელთა ვებ-გვერდი ოფიციალურად ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, კლუბი განიხილავს საკითხს და შესაბამის ზომებს მიიღებს:

„ფეხბურთელი გამოძახებული გახლდათ შეკრების საწყის ეტაპზე, მაგრამ ის თვითნებურად არ გამოცხადდა შეთანხმებულ დროსა და ადგილას. „პსჟ“ გმობს ამ სტუაციას და შესაბამის ზომებს მიიღებს“, — ვკითხულობთ განცხადებაში.

საინტერესოა, რომ ნეიმარი რიო დე ჟანეიროში იმყოფებოდა და კოპა ამერიკაზე ბრაზილიის ნაკრების ტრიუმფს ზეიმობდა. შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელ ვარსკვლავს „პსჟ“-ს დატოვების სურვილიც ამოძრავებს და „ბარსელონაში“ დაბრუნება უნდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

გოგა მუდამ მზადაა



გოგა ბითაძის „ინდიანა პეისერზმა“ NBA-ს საზაფხულო ლიგაში მე-2 მატჩი ჩაატარა, ახალგაზრდა ქართველი ცენტრი კი ადრე გაჟღერებულ მიზეზთა გამო მოედანზე ამჯერადაც არ გამოჩენილა.

ზაზა ფაჩულიას ყოფილ კლუბ „დეტროიტ პისტონზთან“ მატჩისას ბითაძე ინდიანელთა განაცხადში სიმბოლურად იყო, რადგანაც სავიზო პრობლემათა გამოისობით ჯერაც თბილისში იმყოფება.

„ბითაძესთან ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს და ის მუდამ იმეორებს: „მე მზად ვარ, მე მზად ვარ“. სამწუხაროდ, გოგა ისევ საქართველოშია, თუმცა, იმედია, პრობლემა უახლოეს დღეებში მოგვარდება და გუნდს შემოუერთდება“, — აღნიშნა „პეისერზის“ პრეზიდენტმა კევინ პრიტჩარდმა.

უშუალოდ გუშინდელი დაპირისპირება კი ინდიანელთათვის წარუმატებლად დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ბითაძის ახალმა კლუბმა ლას ვეგასის საზაფხულო ლიგის სასტარტო შეხვედრა „მემფის გრიზლიზთან“ 75:101 წააგო, დეტროიტელებთან კი 84:102 დამარცხდა.

„პისტონზის“ რიგებში საუკეთესო აარონ ჰოლიდეი იყო 20 ქულით, ალოიზ ჯონსონმა ორმაგი დუბლი (15 ქულა, 10 მოხსნა) მიითვალა, დევონ აკოონ-პერსელმა — 11, ბრიან ბოუენმა, მაიკილი მაკინტოშმა და შიზ ელსტონმა კი — 10-10.

„ინდიანა პეისერზი“ ნევადაში მომდევნო მატჩს უკვე ხვალ დილით „ატლანტა ჰოუქსის“ წინააღმდეგ ჩაატარებს, დასკვნითი შეხვედრა კი 12 ივლისს ლიგის მოქმედ ჩემპიონ „ტორონტო რეპტორზთან“ ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სუმო

ასე ვერ გავფრინდებით

იაპონიის ქალაქ ნაგოიაში მიმდინარე საზაფხულო სუპერტურნირიდან ქართველი ქომაგისთვის კარგი ამბები არ მოდის. ბაშოს 3 დღის თავზე 2 ქართველი სუმოისტის — ტოჩინოშინისა და გაგამარუს მონაგარი ერთადერთი გამარჯვებაა.

გუშინ ორივე ჩვენებურმა წააგო. ტრავმებით გაწამებული ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი, რომელიც დოჰიოზე დასავლეთის მე-2 ოძეკის წოდებით გადის, ამჯერად რიუდენს ვერ გაუმკლავდა. დაახლოებით ნახევარ წუთში დასავლეთის პირველმა კომუსუბიმ ჩვენებური უვატედაშინაგეთი დაჯაბნა.



ზედიზედ 3 მარცხის შემდეგ ტოჩინოშინი ნავსის გატეხვას დღეს ეცდება, როდესაც ძალებს დასავლეთის მე-3 მაეგაშირა დაიეიშოსთან მოსინჯავს. ლევანს ის შვიდიდან ექვს შემთხვევაში ჰყავს დამარცხებული და, იმედია, დღესაც იყოჩაღებს.

ამ დროისთვის ნაგოიას ბაშოს 7 დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს, რომელთა შორის იოკოძუნები კაკურიუ და ჰაკუჰოც არიან.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში მე-2 მარცხი განიცადა გაგამარუს შიკონათი ცნობილმა თეიმურაზ ჯუღელმა. ქართველმა გოლიათმა, რომელიც დასავლეთის მე-2 ნომრის წოდებით ირჯება, დასავლეთის მე-3 რეიტინგოსან იუტაკაიამასთან ოშიტაოშით წააგო. დღეს გაგამარუ აღმოსავლეთის მე-4 ნომერ ვაკატაკაკაგეს დაუპირისპირდება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 2:1-ს უგებს.

კოგა კოგახიძე

◎ ოლიმპიზმი

გადამყიდველთა წინააღმდეგ მკაცრი კანონი ამოქმედდა

იაპონიაში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც სპორტულ ღონისძიებებზე, კონცერტებსა თუ სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთების გადაყიდვას კრძალავს. ამგვარი კანონის შემოღება უწინარესად მიმართულია ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად.

გადამყიდველს, რომელიც ბილეთს მის ღირებულებაზე მეტ ფასად გაყიდის, ფულადი ჯარიმის სახით 1 მილიონი იენის (დაახლოებით 9,2 ათასი დოლარი) გადახდა მოუწევს, ან შესაძლოა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს.

აღსანიშნავია, რომ ბილეთები დაცული იქნება QR კოდებით, რომელშიც შევა მყიდველის დაშიფრული მონაცემები.

ღონისძიების ორგანიზატორები ვალდებულნი იქნებიან 2020 წლის ოლიმპიური თამაშების სპორტულ ობიექტებზე შესვლისას ბილეთის მფლობელთა ვინაობა გადაამოწმონ.

იმ შემთხვევაში, თუ გულშემატკივარი შეჯიბრებაზე დასწრებას ვერ ახერხებს, მას შესაძლებლობა ექნება საკუთარი ბილეთი ტოკიო-2020-ის ოფიციალურ საიტზე გაყიდოს.

გეჟან დოლიძე

პირველად ისტორიაში ასტრონომებმა სუპერდედამიწის ატმოსფერო შეისწავლეს

NASA-ს ინფორმაციით, ასტრონომებმა პირველად შეძლეს იმ ეგზოპლანეტის ატმოსფეროს დეტალური გაანალიზება, რომლის ზომები დედამიწაზე დიდია, მაგრამ ნეპტუნზე – პატარა. „ირმის ნახტომის“ გალაქტიკაში უმრავლესად სწორედ ამ ზომის პლანეტებია. მეცნიერების ნაშრომი ჟურნალში Nature გამოაქვეყნდა.



მზის სისტემაში პლანეტების ორი ჯგუფია: დედამიწის ჯგუფი და გაზის გიგანტები, რომელთაგან ყველაზე პატარები არიან ურანი (დედამიწის 14 მასა) და ნეპტუნი (დედამიწის 17 მასა). ამ ორი ჯგუფის პლანეტები პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბირთვის და ატმოსფეროს შემადგენლობით, ასევე ფორმირების მექანიზმით. მზის სისტემის მიღმა ახალი ეგზოპლანეტების აღმოჩენასთან ერთად გაირკვა, რომ მათგან 80% ზომით და მასით დედამიწაზე დიდია, მაგრამ გაზის გიგანტებზე – პატარა: ასეთ პლანეტებს სუპერდედამიწებს ან სუბნეპტუნებს უწოდებენ. მზის სისტემაში ანალოგების არარსებობის გამო მეცნიერები დღემდე ვერ ამტკიცებდნენ დანამდვილებით, თუ რისგან შედგებოდა მათი ატმოსფერო და როგორ ჩამოყალიბდნენ ისინი.

ახალ კვლევაში ასტრონომები „ჰაბლის“ და „სპიტცერის“ ტელესკოპების დახმარებით აკვირდებოდნენ ეგზოპლანეტას Gliese 3470b, რომლის მასაც დედამიწისას 12,6-ჯერ აღემატება. პლანეტა „წითელი ჯუჯის“ ირგვლივ კიბორჩხალის ნისლეულში ტრიალებს დედამიწისგან დაახლოებით 100 სინათლის წელიწადის დაშორებით. მეცნიერებმა გამოიკვლიეს „სპექტრული ხაზები“ პლანეტის გავლისას ვარსკვლავს და ტელესკოპს და მის დაბნელებებს შორის (როდესაც ვარსკვლავი ტელესკოპს და პლანეტას შორის მდებარეობს) და სპექტრების შედარებით შეძლეს იმ ელემენტების განსაზღვრა, რომლებისგანაც შედგება ატმოსფერო Gliese 3470b.

მეცნიერების თქმით, ისინი ატმოსფეროში ჟანგბადის და ნახშირბადის აღმოჩენას ელოდნენ, რომლებიც წყლის ორთქლს ქმნის, ასევე მეთანის პოვნას – როგორც ნეპტუნის ირგვლივ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ Gliese 3470b-ის ატმოსფერო დიდწილად შედგება წყალბადისა და ჰელიუმისგან.

ასეთი შედეგების გამო, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ Gliese 3470b ჩამოყალიბდა თავისი ვარსკვლავისგან იმავე მანძილზე, სადაც დღეს მდებარეობს (და ის არ მიიზიდა ვარსკვლავური სისტემის გარე ფენებმა, როგორც ეს ხდება ხოლმე უფრო მსხვილ ეგრეთ წოდებულ „ცხელ იუპიტერებში“). Gliese 3470b ბირთვის მიერ (შედგება რკინის, სამთო სახეობებისა და ყინულისგან) „პროტოპლანეტური დისკისგან“ მსუბუქი ნივთიერებების მიტაცებისას წარმოიქმნა.

ეგზოპლანეტების შესწავლა ასტრონომიაში შედარებით ახალი მიმართულებაა: მასობრივად მათი აღმოჩენა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში დაიწყო. მოსალოდნელია, რომ ის პრინციპულად ახალ საფეხურზე გადავა NASA-ს ტელესკოპის, „ჯეიმს უების“ ამოქმედების შემდეგ, რაც 2021 წლისთვის იგეგმება.

IMEDINEWS.GE

არდავიწყება

ჯავა ჭეიშვილი

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მხატვართა კავშირის წევრი, დ. კაკაბაძის სახ. პრემიის ლაურეატი, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ცნობილი მხატვარი ჯავა ჭეიშვილი.

მან 1967 წელს დაამთავრა მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი და ამავე წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში, მოწყობილი აქვს მრავალი პერსონალური გამოფენა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილ პლენერებში, სიმპოზიუმებში და საქველმოქმედო აქციებში. მიღებული აქვს ჯილდოები, დიპლომები და სიგელები.

ჯავა ჭეიშვილი გატაცებით ქმნიდა ფერწერულ ტილოებს, ასევე თანამშრომლობდა სხვადასხვა გამომცემლობებთან, მას მხატვრულად გაფორმებული აქვს ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებები, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრსა და თოჯინების თეატრში – არაერთი სპექტაკლი. წლების მანძილზე იგი იყო საქართველოსა და ქუთაისის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, ქ. ქუთაისისა და სამხატვრო საწარმო-სახელოსნოების მთავარი მხატვარი.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის მუზეუმებში, გალერეებსა და კერძო კოლექციებში: აშშ-ში, ბელგიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, რუსეთში, პოლონეთში, შვეიცარიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

ჯავა ჭეიშვილის ბიოგრაფია შესულია ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“, საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში, „ქართველი მხატვრები 2014-2015 წ.წ.“ წიგნ-ალბომში, სამხატვრო გამოფენების კატალოგებში და სხვა.

წავიდა ჩვენგან თანამედროვე სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი გამორჩეული შემოქმედი, ნიჭიერი მხატვარი, შესანიშნავი მეგობარი, ღირსეული პიროვნება და დაგვიტოვა დიდი ნაღველი და გულისტკივილი.

ჯავა ჭეიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი შემოქმედების თაყვანისმცემლების, ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირი

თურქეთში 60 წლის ქართველი ქალი მოკლეს

შემთხვევა ქალაქ ამასიაში მოხდა. 60 წლის ქალის ცხედარი პოლიციამ მისივე სახლში აღმოაჩინა. მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა.

სამართალდამცავები ადგილობრივებმა მას შემდეგ გამოიძახეს, რაც მეზობლის სახლში სროლის ხმა გაიგეს. მკვლელობის მოტივი უცნობია. ამასიის პოლიცია ეჭვმიტანილებს ეძებს. მოკლულის სახლში სამართალდამცველებმა ორი ცარიელი მასრა იპოვეს.

◎ პაპანაქება სიცხეში

ვის ირჩევენ კოღოები?

ცნობილია, რომ ზოგიერთებს კოღო სხვებზე უფრო მეტად კბენს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მდედრი კოღოები თავიანთ მსხვერპლს იმ ქიმიურ ნაერთებზე ორიენტირების შედეგად ირჩევენ, რომლებსაც კონკრეტული ადამიანის კანი და მისი ბინადარი ბაქტერიები გამოყოფენ.

ამის პირველი მიზეზია **ორსულობა**. თურმე, დაახლოებით 28 კვირის ფეხმძიმე ქალბატონების სხეული სხვებთან შედარებით 21 პროცენტით მეტ ნახშირმჟავა გაზს გამოყოფენ. ამიტომაც მათ კოღოები ორჯერ უფრო მეტად კბენენ. მეორე მიზეზია **ჭარბი ოფლიანობა**, რასაც ორგანიზმიდან გამოყოფილი



რძის მჟავა განაპირობებს, რომელიც მწერებს იზიდავს. ამიტომ ეცადეთ, დარბაზში ივარჯიშოთ და შხაპი რაც შეიძლება ხშირად მიიღოთ.

კოღოების მესამე „პრიორიტეტია“ **პირველი ჯგუფის სისხლი**, რომელიც ასევე სპეციფიკურ სუნს გამოყოფს. ამიტომ, ამ ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ რეპელენტები.

მკბენარა მწერებისთვის ასევე მიმზიდველი ფაქტორია **ლუდი**, თუმცა იაპონიის ცნობილ კვლევით ცენტრში ამის მიზეზის დადგენა მეცნიერებმა ვერ შეძლეს.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც კოღოებს იზიდავს, **გენეტიკაა**. ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის სკოლის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი ადამიანი გამოყოფს ნივთიერებებს, რომლებიც კოღოებს აფრთხობენ. ისინი, ფაქტობრივად, ბუნებრივი წარმოშობის რეპელენტებს წარმოადგენენ, რომელთა გამომუშავებას ადამიანის გენეტიკა განაპირობებს.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ თუკი ამ გენების დადგენას შეძლებენ, რომლებიც ორგანიზმში ბუნებრივი რეპელენტების გამომუშავებას უზრუნველყოფენ, მომავალში შესაძლებელი იქნება კოღოების დამფრთხობი რადიკალური საშუალების შემუშავება.

ჯერჯერობით კი კოღოებისგან დაცვა მხოლოდ შარვლისა და გრძელმკლავიანი პერანგის ჩაცმით, ანდა ტანსაცმელზე რეპელენტის მისხურებით შეიძლება. სამი წლის ზევით ასაკიდან კი პატარებისთვის რეკომენდებულია ლიმონისა და ევკალიპტის ზეთის წასმა.

ნინო ალექსანდრია

სომხეთის მოქალაქე ვერტმფრენით ერევანში გადაიყვანეს

რუისთან 7 ივლისს ავარიის შედეგად დაშავებული ერთ-ერთი მოქალაქე სომხეთში, ვერტმფრენით გადაიყვანეს. ინფორმაციას საქართველოში სომხეთის საელჩო ავრცელებს.

რაც შეეხება დაშავებულ მოზარდს, მისი მდგომარეობა კვლავ მძიმეა და ის იაშვილის კლინიკაში, კრიტიკული მედიცინის ცენტრში რჩება.

ავტოსაგზაო შემთხვევას რუისთან სამი ადამიანი ემსხვერპლა, ხუთი კი დაშავდა. დაღუპულია ერთი ქალი და ორი მცირეწლოვანი. დაღუპულები და დაშავებულები სომხეთის მოქალაქეები არიან.

„ექვთიმე ღვთისკაცი“- ნოქალაქევში

წმინდა **იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაულზე, ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე, ციხე-გოჯის ისტორიული ქონგურების გარემოცვაში, ცნობილი ქართველი რეჟისორის ნიკოლოზ ხომასურიძის ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის“ საჯარო ჩვენება გაიმართა.**

საქართველოს სიყვარულს, ეროვნული ფასდაუდებელი საგანძურის დაცვას შეწირული დიდი ქართველი მამულიშვილის ცხოვრება და მისი თანამედროვე პერიოდის ისტორიული ქარტეხილები, ნოქალაქევის საუკუნეებგამოვლილი კედლის ეკრანიდან აღქმული, მაყურებელში განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავდა.



სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის ინიციატივით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გამართულ ჩვენებას მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან თოლორდავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის, ქართულ-ინგლისური საზაფხულო სკოლის და საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ. ფილმის ჩვენება, რომელიც საქართველოს ეროვნული საგანძურის მცველის, ისტორიკოსის, არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს ასახავს, უკვე მეორედ შედგა სენაკში. ფილმში მთავარ როლს გერმანიაში მოღვაწე ქართველი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს და იგი ქართველი საზოგადოების შემოწირულობით შეიქმნა.



რეჟისორმა, სცენარისტმა და პროდიუსერმა ნიკოლოზ ხომასურძემ „ექვთიმე ღვთისკაცის“ შექმნის ისტორიასა და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. ფილმის გადაღებასთან დაკავშირებული მომენტები გაიხსენა შემოქმედებითი ჯგუფის წევრმა, ფილმში გალაკტიონ ტაბიძის როლის შემსრულებელმა ლაშა კანკავამ.

„ზაფხულის კინოსკოლა“

პროექტი **ითვალისწინებს საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიან სოფლებში კინოსპეციალისტების მივლინებას, სადაც 2 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად გაიმართება კინოჩვენებები, მოეწყობა დისკუსიები, კინოსკოლელები გადაიღებენ მოკლემეტრაჟიან ფილმებს, ფოტოებს და მოამზადებენ წარდგინებებს კინოს თემაზე.**

პროექტში ჩართულია 25 სოფელი, მათ შორის განმუხურის, ხურვალეთის, ნიქოზის, მეჯვრისხევის, ურავის, მერეთის, ორსანტიისა და ველევის სკოლები.

პროექტის მიზანია საქართველოს რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების გაცოცხლება და ადგილობრივი კულტურული სექტორის გაძლიერება.

„ზაფხულის კინოსკოლა“ პირველად 2015 წელს განხორციელდა. პროექტს ტრადიციულად უჭერს მხარს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მილიარდელს პედოფილიაში სდებენ ბრალს

ამერიკელ **მილიარდერს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობაში დასდეს ბრალი. საქმე ეხება ფინანსისტ ჯეფრი ეპშტეინს, რომელსაც 2005 წელს არასრულწლოვნების მიმართ სექსუალურ ძალადობაში სდებდნენ ბრალს, თუმცა მაშინ მილიარდერმა საპროცესო გარიგებით ციხეს თავი აარიდა.**

გამოძიების ცნობით, 2002-2005 წლებში ეპშტეინი ფლორიდასა და მანჰეტენზე მდებარე სახლებში არასრულწლოვან გოგოებს პატიჟებდა და სექსმომსახურების სანაცვლოდ, ფულს სთავაზობდა. მსხვერპლთა ნაწილი 14 წლის იყო.

66 წლის ეპშტეინი რამდენიმე დღის წინ ნიუ ჯერსის აეროპორტში დააკავეს, სადაც ის პირადი თვითმფრინავით საფრანგეთიდან ჩავიდა. სასამართლო პროცესი, რომელზეც ფინანსისტის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების საკითხს განიხილავენ, 11 ივლისს გაიმართება.

თავად ეპშტეინი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ გოგონებს მათი თანხმობით ხვდებოდა და დარწმუნებული იყო, რომ ისინი სრულწლოვნები იყვნენ.

„ნიუ იორკ ტაიმსის“ ცნობით, ეპშტეინი 1990-2000-იან წლებში აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან, ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონთან და ბრიტანეთის პრინც ენდრიუსთან მეგობრობდა.

პროფესია გამოადგა

ანდრეა ბენედეტო, რომელიც სარდინიაში თავის ბოიფრენდთან შეუღლების შემდეგ თაფლობის თვეს ატარებდა, ზღვაში დახრჩობისგან, ცურვაში იტალიელმა ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ფილიპო მანგინიმ გადაარჩინა. ამის შესახებ BBC-ი წერს.

ფილიპო მანგინი 37 წლის ყოფილი სპორტსმენია, რომელიც შემთხვევის დროს სანაპიროზე მეგობარ გოგოსთან, ცნობილ იტალიელ ტელევარსკვლავთან ჯორჯია პალმასთან ერთად იმყოფებოდა. მოგვიანებით მოცურავე იხსენებს, რომ დახმარების შეძახილები გაიგონა. მანგინი დაუფიქრებლად ჩავიდა წყალში და დაზარალებულის თავს წყლის ზემოთ, მაშველების მოსვლამდე აკავებდა.

„უბრალოდ ის გავაკეთე, რაც უნდა მექნა. მას დიდი რაოდენობით ჰქონდა ჩაყლაპული ზღვის წყალი და იყო ძალიან შეშინებული“, — აღნიშნა იტალიელმა სპორტსმენმა იტალიურ Corriere dello Sport-თან საუბარში.

ანდრეა ბენედეტო და მისი მეგობარი ბიჭი შემთხვევამდე ორი დღით ადრე დაქორწინდნენ. წყვილი მარტორქის ფორმის ტივტივაზე ზღვაში ცურავდა, რა დროსაც ბენედეტო წყალში ჩავარდა. ბენედეტომ მოგვიანებით გაიხსენა რომ წყალი ძალიან ცივი იყო, რის გამოც კიდურები დაეჭიმა და მოძრაობას ვერ ახერხებდა.

ანდრეა ბენედეტო თავს კარგად გრძნობს და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ 37 წლის იტალიელი ფილიპო მანგინი 2005 წელს, კანადაში გამართულ ცურვის მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლის მფლობელია.

წყალდიდობა ვაშინგტონში

სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, აშშ-ის დედაქალაქში რეკორდული რაოდენობით ნალექი მოვიდა.

ქუჩების ნაწილი წყალმა დაფარა. დაიტბორა ავტომობილები. წყალი ჩავიდა ვაშინგტონის მეტროშიც.

მომხდარის ამსახველი ვიდეო თვითმხილველებმა გაავრცელეს. გადაუღებელი წვიმის გამო დაკეტილი იყო მუზეუმები და სხვა ღირსშესანიშნაობები.

სტიქიის ზონაში მობილიზებული იყო საგანგებო სიტუაციების სამსახური. მაშველებს წყალში მყოფი მანქანებიდან მოქალაქეები გამოჰყავდათ.

ძლიერი წყალდიდობა იყო ვირჯინიის შტატის ქალაქ არლინგტონშიც.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8320; ევრო - 3.1778;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5471;
100 რუბლი - 4.4369; თურქული ლირა - 0.4947;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6708;
1000 სომხური დრამი - 5.9433.

ამინდი 10 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+32
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge